№ 87

კვირა, 29 მაისი

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან, თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

№ 87

კვირა, 29 მაისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა ფრეილინის ქუჩაზე № 5.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მაისიდან წლის დამლევამდის 6 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის ალმასრულებელი ამით აუწყებს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომ კვირას, ექვს ივნისს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში, **დანიშნულია საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა.** განსახილველი საგნებია: 1) ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის მოგებათა განაწილების პროექტის განხილვა, 2) თავად-აზნაურთა სამეურნეო კაპიტალიდან თავად-აზნაურთა აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო თანხის აღების შესახებ საკითხი და 3) თელავისა და გორის მაზრებში ვაჟთა გიმნაზიების დაარსების საკითხი.

(3—1).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ—ქალების და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ი. ზჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 [illegible] ებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8 საათამდე.

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

რეფორმები თუ რეფორმა?

—

დღეს ყველა ხედავს, თუ სადამდის მიიყვანა მთელი რუსეთი ბიუროკრატიის შეუზღუდავმა თარეშმა. მართვა-გამგეობის ძველ, დახავსებულმა სისტემამ, რომელიც წინად თითქოს სწორ გზატკეცილზე მისრიალებდა და ამ გზატკეცილის წინ თითქოს არავითარი დაბრკოლება არა სჩანდა, დღეს იმ წერტილს მიაღწია, სადაც მას ცხოვრებამ სქელი კედელი აუმართა და სასიარულო გზა მოუჭრა. აქ სულ სხვა ძალები დგანან, რომელნიც აპირობენ ბიუროკრატიისაგან გაფუჭებულ საქმეების გამოკეთებას და საზოგადოებრივ ცხოვრების მსვლელობის ახალ გზაზე დაყენებას. ბიუროკრატია ვეღარ ახერხებს უკან დაბრუნებას, წინაც ვეღარ წასულა და ვერც სამსახურიდან გამოსვლა გადაუწყვეტია. და ასე იგი დიდ ყოყმანსა და ჭაპანწყვეტაშია. ცდილობს მაინც წინ დახვედრილ დაბრკოლებას როგორმე გვერდი შეუაროს, განზე გაიწიოს, კედელს ცოტათი კიდე ჩამოსციცქნოს, დაბრკოლებას გასცდეს და პოლიტიკურ ცხოვრებას ისეთი კალაპოტი მისცეს, რომელიც „ძველსაც“ ჰგავდეს და საზოგადოებისთვის სასურველ „ახალსაც“ მოგვაგონებდეს. ეს გზაა—გზა წვრილმან „რეფორმებისა“, რომელზედაც დიდი ბჭობა და თათბირია სხვადასხვა დაწესებულებებში გამართული და რომელსაც ჯერაც კიდევ არ უჩანს დასასრული...

შესდგა კომისია პრესსისა და საზოგადოდ ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონთა გადასასინჯად. აგერ რამდენიმე თვე გავიდა,რაც ეს კომისია მოქმედობს, მაგრამ ჯერაც არავინ იცის, რა რეალური შედეგი გამოიღო მისმა მოქმედებამ. რამდენადაც ამ კომისიის შრომა გაზეთებში გამომჟღავნდა, ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ კომისიაში მოთათბირენი ისეთ პროექტებს ადგენენ, რომელიც რუსეთის პრესსას „უთავისუფლო თავისუფლებას“ მიანიჭებს... პრესსა იქნება და არც იქნება თავისუფალი,—ეს არის ის შუათანა—ნეიტრალური—თავისუფლება, რომელსაც იმეტებს დღეს ბიუროკრატია საზოგადოდ და პრესსის შესახებ—კერძოდ. ეხლანდელ მმართველ წრეების სამოქმედო ტაქტიკას შემდეგი სიტყვები აწერია დევიზად: ,,იქითაც და აქითაც'' და ამის თანახმად იწერება პროექტები, რომლებიც საზოგადოებასაც აძლევს ნამცეცებს და ბიუროკრატიისაც არ აკლებს უფლებებს...

რამდენიმე თვეა, ბჭობაა გამართული ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის წეს-რიგის შესამუშავებლად. ეს ბჭობა ჯერაც არ გათავებულა და კანცელარიებს არ გასცილებია. რამდენადაც გაზეთებში გამომჟღავნდა, ეს ბჭობაც იმ ნიადაგზე სწარმოებს, რა ნიადაგზედაც უნდა იყოს საზოგადოდ ყოველი ბიუროკრატიული საქმიანობა და რეფორმისთვის შემზადება. პროექტია შემდგარი, რომ საარჩევნო უფლება „ცენზიანებს“, ე. ი. მხოლოდ ქონების პატრონებს, ჰქონდეთ, რომ არჩევნები იყოს ორკეცი და არა პირდაპირი, რომ წარმომადგენელთა კრებას ანუ „სახელმწიფო საბჭოს“ მხოლოდ რჩევის უფლება და არა გადამწყვეტი ხმა ჰქონდეს სახელმწიფოს საქმეებში და სხვა. ერთის სიტყვით, აქაც უნდა შესდგეს რაღაც საკონსტიტუციო ორგანოს მსგავსი დაწესებულება, რომელსაც ნამდვილად სახალხო წარმომადგენლობასთან არავითარი კავშირი არ ექნება...

ბევრს სწერდნენ და ლაპარაკობდნენ რეფორმების შემოღების შესახებ ჩვენშიაც... ჯერ-ჯერობით ეს რეფორმები ერობის დაწესებაში უნდა გამოიხატოს. ამ რეფორმის შემოღებას აუცილებლად ხდისო ხალხის დრტვინვა და მოძრაობა, რომელსაც—ამბობენ თურმე—დააკმაყოფილებსო ერობის წვრილმანი საქმიანობა. რუსეთში, 40 წელიწადია, არსებობს ამგვარი ,,თვითმართველობა'', და დღეს მაინც რუსეთის ხალხი ითხოვს ისეთ საერთო წეს-წყობილებას, რომელიც ერობის ფარგალს დიდად აღემატება. იქ ერობამ ვერ დააკმაყოფილა ცხოვრების ზრდა და მოთხოვნილება, მაგრამ ამ ფაქტს მაინც ყურადღებას არ აქცევენ და ფიქრობენ, რომ იმ სასწაულს, რომელიც ვერ მოახდინა ერობამ რუსეთში,—მოახდენს კავკასიაში. დღეს ხომ ყველა საზოგადოების უფლებებსა და წარმომადგენლებზე ლაპარაკობენ და ერობაც ხომ „თვითმართველობაა“ და იქ „უფლებებიც“ არის, „არჩევნებიც“ და „წარმომადგენლობაც“...

ყველა ამგვარ რეფორმების პროექტები ძველ პოლიტიკურ წყობილების ფარგალშია მოქცეული და ამიტომ, თუ განხორციელდა, მხოლოდ „შეაპაჩინკებს“ ძველ რეჟიმს. თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილება, საზოგადოების აუცილებელი საჭიროება დაჟინებით თხოულობს თვით რეჟიმის ცვლილებას, ვინაიდან უამისოდ შეუძლებელია რაიმე საგრძნობელ რეფორმის შემოღება და თავისუფალ წესწყობილების დამყარება. ეს არის კვანძი, რომელიც უეჭველად უნდა გასწყდეს, და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება განხორციელდეს ყველა ის თავისუფლებანი, რომელთაც კანცელარიებიდან მოელიან ეხლანდელი „ლიბერალები“. ესაა ძირითადი **რეფორმა**, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება **რეფორმები**...

* * *

ჟორესის აზრი სამშობლოსა და ეროვნულ საკითხის შესახებ

საფრანგეთის სოციალისტებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სოციალისტ ჰერვესაგან წარმოთქმულმა აზრმა სამშობლოსა და ეროვნულ საკითხის შესახებ.

„მუშა-ხალხისთვის სამშობლო არ არსებობსო,—ამბობდა ჰერვე,—მუშა ხალხისთვის მეტია, მავნებელია ეროვნული საკითხი, მისთვის სულ ერთია, იქნება იგი ფრანგი თუ გერმანიას დაემორჩილება,—ყველა ქვეყნის პროლეტარი ძმა არის ერთმანეთში და ორ სახელმწიფოში ატეხილ ომის დროს ერთი ქვეყნის პროლეტარი იძულებული ხდება ესროლოს თავისავე ძმას, სხვა ქვეყნის პროლეტარს... ამიტომ არ გვინდა ომიო! ამიტომ ომიანობის დაწყების დროს ყოველმა სოციალისტმა სამხედრო სამსახურზე უნდა განაცხადოსო უარი, უნდა გახადოს ამიტომ შეუძლებლად მობილიზაცია და თვით ომიანობაც“.

ჰერვეს ამნაირ წინადადებას წინ აღუდგა სოციალისტების ერთი ნაწილი საფრანგეთში და, სხვათა შორის, ჟორესი. 27 მაისს (ახალი სტილ.) სოციალისტების ერთ კრებაზე მან წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, სადაც არკვევდა თავის და სოციასტების შეხედულებას სამშობლოსა და ეროვნულ საკითხის შესახებ:

სოციალიზმი ამჟამად იმარჯვებს ყველგან და ყველგან ცდილობს ეროვნულ და კლასსიურ სხვადასხვაობის მოსპობას. მოვა დრო და მოისპობა ახლანდელი უთანასწორობა, ერთისაგან მეორესი გაყვლეფა, მოისპობა კაპიტალის ძლიერება და ბატონობა და მასთან ერთად მოისპობა კლასთა ბრძოლა, ეროვნული განხეთქილება. გაბატონდება შრომა და მხოლოდ შრომა... აღარ იქნება შინაური ბრძოლა, სისხლის ღვრა, ომიანობა...

მაგრამ ამ სანეტარო დროს მოისპობა თუ არა სამშობლოს ცნება?—მოისპობა იმ სახით, რა სახითაც არსებობს ახლა, მოისპობა, როგორც უნდობლობის, განცალკევების, დამონების ცნება...

სამაგიეროდ სხვა სახით იგი დარჩება უთუოდ...

ნუ თუ გგონიათ, რომ მომავალი სოციალისტური საზოგადოება მოტიტვლებულ უდაბნოს დაემგვანება, სადაც ყოველი ადამიანი, როგორც უსულო მანქანა, ყოველსავე თავისებურობას მოკლებული, ამოძრავდება ერთნაირად, ერთგვარად?..

არა, სოციალიზმი ამნაირ გაერთგვარებას არ მოითხოვს, სოციალიზმი, პირიქით, ხელს უწყობს ყოველგვარ ადამიანის ნიჭის, თავისუფლების განვითარებას და როგორც კერძო ადამიანი შეირჩენს თავისებურობას, ისე შერჩება ეს თავისებურობა ერსაც, სამშობლოს...

ხალხის ენა, ზნე-ჩვეულება და ხასიათი, მისი წარსული ცხოვრება და მომავლის იმედი,—ნუ თუ გგონიათ, რომ ამის მოსპობა შეიძლება ან სასურველია?

ამიტომ ვერ ჩვენ შევხედეთ გულგრილად იმას რომ ერთი კაპიტალისტური ერი მეორეს უპირებს შთანთქვას, პირიქით წინ უნდა აღვუდგეთ ამას უთუოდ, ვინაიდან ერის მოსპობა არა მარტო ჩვენთვის არ არის სასურველი, არამედ მომავალ თაობებისთვისაც დანაკლისია.

მართლაც, როგორ გვაქვს წარმოდგენილი მომავალი საზოგადოება? ნუ თუ გვგონია, რომ მთელ დედა-მიწაზე ერთი გამგეობა იქნება, უკიდურესი ცენტრალიზაცია, ყოველ ადგილობრივ თავისებურობისა, და თავისუფლების მოსპობა?

დღესაც ცენტრალიზაცია ბოლოს-და-ბოლოს ყოველთვის ბიუროკრატიად იქცევა ყველგან...

„არა! საერო ინტერესების დაცვა შეიძლება მაშინ, როდესაც ამ საქმეს დაადგება არა ბიუროკრატიული ცენტრალიზმი, არამედ ფედერაციულად მოწყობილი ავტონომიური და დამოუკიდებელი ნაწილები.

„ორში ერთი უნდა აირჩიოთ უთუოდ: ან უზარმაზარი ცენტრალისტური ბიუროკრატია, ან ავტონომიურ ერთა ფედერაცია.

„თქვენ გწყურიანთ თავისუფლება, გინდათ მოისპოს გაბატონება, მონობა და ამიტომ უნდა ეცადოთ, რომ კაცობრიობაც შესაფერად მოეწყოს, უნდა ეცადოთ, რომ მოისპოს ბიუროკრატია,—სულ ერთია რა სახისაც უნდა იყოს იგი,—მის მაგიერად უნდა აჰყვავდეს კოოპერაცია, თანამშრომლობა, თავისუფალ არსებათა თანამშრომლობა და ამ თანამშრომლობისათვის კი ერთად-ერთი ნიადაგია ფედერაციის წესით მოწყობილი ავტონომია.

„მაგრამ ეს წყობილება ჩვენთვის ამჟამად იდეალია, ეს წყობილება ჯერ არ არსებობს, იგი მზადდება მხოლოდ, შემოდის თანდათან... სხვადასხვა სახელმწიფოში.

მართალია, ზოგიერთი დღესაც იმეორებს მარქს-ენგელსის სიტყვებს: „პროლეტარიატს არა აქვს სამშობლო“, მაგრამ ივიწყებენ, რომ ამ სიტყვებს შეიძლება ჰქონდა რამე მნიშვნელობა იმ დროს, როდესაც მთელ ევროპაში პროლეტარიატი ყოველგვარ საპოლიტიკო და საზოგადო უფლებას იყო მოკლებული, როდესაც მას არ ჰქონდა კავშირის, გაფიცვის თავისუფლება, როდესაც მას ჯერ არ ჰქონდა საარჩევნო უფლება, როდესაც პროლეტარიატი საზოგადო ცხოვრების გარეშე რჩებოდა...

მას შემდეგ მდგომარეობა გამოიცვალა, თუმცა მაშინაც არ შეიძლებოდა იმის თქმა, ვითომც პროლეტარიატი სამშობლოს გარეშე ცხოვრობდეს. არა, პროლეტარიატი წინადაც ყველგან იბრძოდა ამა თუ იმ სახელმწიფოში, ერეოდა ამა თუ იმ სახელმწიფოს მოწყობაში, ჰქმნიდა რევოლუციას ამა თუ ის საზღვრებში და ამიტომ ცხადია, რომ არ შეიძლება დავაშოროთ პროლეტარიატი სამშობლოს.

არსად დედა-მიწაზე სოციალიზმის მომხრე პროლეტარიატი არა ცდილობდა წარსულის უარყოფას. პირიქით, საფრანგეთში, მაგ., პროლეტარიატი ყოველთვის ახალ უფლებისათვის ბრძოლის დროს ემყარება დიდ რევოლუციას, გერმანიაში—წარსული დროის ფილოსოფიას და თვით მარქსი, რომელმაც 1847 წ. გამოაცხადა „პროლეტარიატს არა აქვსო სამშობლო“, რამდენისამე წლის შემდეგ სწერდა: „გერმანელ პროლეტარიატის სიდიადეს შეადგენს, მის საისტორიო ძლიერებას ჰქმნის ის გარემოება, რომ იგი გერმანულ ფილოსოფიის მემკვიდრე არის, რომ იგი ამ ფილოსოფიის ერთად ერთი მემკვიდრე არის“...

ისინი, ვინც ურჩევს პროლეტარიატს სამშობლოს და ეროვნულ საქმეებზე გულის აცრუებას, ივიწყებენ, რომ ამნაირად სხვის ხელში გადავა გონებრივი საუნჯე, რომელიც შეჰქმნა ისტორიამ, თვით ამ პროლეტარიატის მხნეობამ და გატაცებამ...

მთელი დედამიწის პროლეტარიატი სხვადასხვა ნაწილად გაყოფილია, არის სხვადასხვა ეროვნების პროლეტარიატი. მათში ყველა დაინტერესებულია, რომ ავტონომიურად იქმნეს მოწყობილი მათი ცხოვრება. ყველა თავის ეროვნულ ფარგალში ცდილობს სოციალიზმის განხორციელებას და მხოლოდ საერთო მიზნების მისაღწევად სხვადასხვა ერის წარმომადგენელი პროლეტარი უერთდება ერთმანეთს.

როდის მოვა ის სანეტარო დრო, როდესაც ყველგან მუშა-ხალხი შეიქმნება ბატონი, როდესაც იგი მთელ საპოლიტიკო უფლებას ჩაიგდებს ხელში, როდესაც იგი ეკონომიურ ცხოვრებაშიაც იქმნება ბატონი! მაშინ ეროვნული ცხოვრება ინტერნაციონალიზმის იდეალსაც შეეფარდება.

მაგრამ ის დრო ჯერ კიდევ შორს არის... ჯერ კიდევ მოუწყობელია საზოგადო ცხოვრება... ხალხს ზოგან სრულებით არავითარი საპოლიტიკო უფლება არა აქვს, ზოგან მისი საპოლიტიკო უფლება კუდ-მოკვეცილია და ნამდვილ ბატონებად ისევე კაპიტალისტები რჩებიან და ამ კაპიტალისტების სურვილის თანახმად მომქმედი სხვადასხვა მთავრობა... ეს მთავრობა კაპიტალისტების გულის მოსაგებად ომიანობასაც ადგება, ერთი ქვეყნის მუშა-ხალხს ამხედრებს სხვა ქვეყნის მუშა-ხალხის საწინააღმდეგოდ.

მუშა-ხალხი იძულებული ხდება იარაღი აიღოს ხელში თანამოძმის, ისეთივე მუშის მოსაკლავად... საშინელებაა!

მაგრამ ნუ თუ ამის მოსასპობად ერთად-ერთი საშუალებაა ის, რომელსაც გვირჩევენ ახლა, ნუ თუ საამისოდ არის საჭირო სამშობლოს მოსპობა?

ყოველ მუშას, ყოველ ადამიანს თავისი ეროვნება აქვს, თავისი ეროვნული მოვალეობა, აქვს აგრეთვე საერთაშორისო მოვალეობაც, და როდესაც ამათში რამე წინააღმდეგობა მოჩანს, ცდილობენ ადვილად გადასწყვიტონ საქმე, ეროვნება უარჰყონ სრულებით... არა, ეს საქმის გადაწყვეტა არ არის, ეს არის საქმის გადაფუჩეჩება, მისი დამალვა...

ამბობენ, განა გერმანიაში იმდენივე საპოლიტიკო თავისუფლება არა აქვს ადამიანს, როგორც საფრანგეთშიო? განა ამიტომ სულ ერთი არ არისო ამა თუ იმ სახელმწიფოს ქვეშევრდომობა?

ამბობენ ამას და ურჩევენ მუშა-ხალხს—უცხოელებთან ომიანობის დროს იარაღის დაყრასაც...

მაგრამ ამასთან ერთად ამბობენ, რომ ყველა გარეშე სახელმწიფო გერმანია არ არის, რომ იმის გარდა არსებობს კიდევ სხვა სახელმწიფოებიც, ოსმალეთი, რუსეთი...

ამიტომ, მათის აზრით, საფრანგეთის მუშა-ხალხმა საომრად გასვლაზე უნდა განაცხადოს უარი, თუ საფრანგეთს შეხვდა ომიანობა ინგლისთან, გერმანელებთან ან იტალიელებთან, ვინაიდან იქაც არის საპოლიტიკო თავისუფლება... მაგრამ, თუ ომი სხვებთან მოუხდა საფრანგეთს, ოსმალეთთან ან რუსებთან, მაშინ...

ამნაირად ჰერვეს შეხედულობით საფრანგეთის მუშა-ხალხმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა განაცხადოს უარი ომიანობაზე, როდესაც მოწინააღმდეგედ სხვა განათლებული სახელმწიფო გამოდის, და უნდა იომოს, როდესაც მოწინააღმდეგედ განათლებული სახელმწიფოა.

საფრანგეთში რესპუბლიკაა ამჟამად შემოღებული და დიდი ნაკლიც რომ ჰქონდეს ამ წყობილებას, ბურჟუაზიაც რომ იყოს გაბატონებული, მაინც ეს რესპუბლიკა მირჩევნია სხვა სახელმწიფოს წესწყობილებას.

ჰკითხეთ სხვა ქვეყნების მუშა-ხალხს, შეიტყეთ მათი აზრი, თუ არ მოისურვებენ, არ არჩევენ უფრო რესპუბლიკას, ვიდრე კონსტიტუციას, თუ არ მოისურვებენ უფრო საფრანგეთის ქვეშევრდომობას, და ნუ თუ ჩვენ არ უნდა დავაფასოთ ეს რესპუბლიკა და იარაღით ხელში არ უნდა დავიცვათ იგი გარეშე მტრისაგან?

ან რის თქმა უნდათ, როდესაც გვეუბნებიან, რომ სულ ერთია გერმანიის ან საფრანგეთის ქვეშევრდომობაო?—იმისი, რომ გერმანელი ერი დიადია? მაგრამ ამას მეც ვამბობ,—დიადია იგი, მაგრამ არა ნაკლებ დიადია საფრანგეთის ხალხიც და ამ ხალხის მოსპობა, გადაგვარება კაცობრიობისათვის სანანებლია. კაცობრიობისათვის საჭიროა გერმანელის ნიჭი, საჭიროა აგრეთვე ფრანგების ნიჭიც და კაცობრიობის წინაშე ბოროტმოქმედია ყოველი ადამიანი, რომელსაც ამა თუ იმ ერის მოსპობა უნდა.

იმ ადამიანს, რომლისთვისაც სულ ერთია საფრანგეთის ან გერმანიის ქვეშევრდომობა, ადვილად შეუძლია ქვეშევრდომობის გამოცვლა, მაგრამ როგორ გამოიცვალოს ქვეშევრდომობა მთელმა მუშა-ხალხმა და, ქვეშევრდომობაც რომ გამოვიცვალოთ, მაინც ვერ შევიქნებით გერმანელებად... ამისათვის საჭიროა გადაგვარება... ამისათვის საფრანგეთის მუშა-ხალხმა უნდა დაივიწყოს თავისი ენა, უნდა შეითვისოს გერმანული ენა, გერმანელების ხასიათი, ზნე-ჩვეულება...

არა, ჩვენ ვერ გავხდებით გერმანელებად, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გერმანელების მონები შევიქნეთ... აქ გირჩევენ გაბატონოთ ერთ ერზე მეორე ერი, გირჩევენ შეუწყოთ ხელი ერთ ახალ მტარვალობის გაბატონებას, ეროვნულ შევიწროვებას, ეროვნულ მონობას!..

იცით, რა შეიქმნება ამის შედეგი? ეროვნულ შევიწროვებას მოჰყვება ეროვნული გამოფხიზლება, ეროვნული ბრძოლა, ბრძოლა ეროვნულ თანასწორობის მოსაპოვებლად, და ყველა მხნე და მებრძოლი ადამიანი დაივიწყებს კლასსიურ ბრძოლას და საპოლიტიკო ბრძოლას თავის ძალ-ღონეს შესწირავს უთუოდ.

გაიხსენეთ, რამდენი მეცადინეობა დასჭირდათ პოლონელებს, გაიხსენეთ ფინლიანდიელებიც...

მაგრამ ესეც არ კმარა... ჰერვეს აზრს ომის დროს გაფიცვის შესახებ უფრო განათლებული ხალხები დაადგებიან. განუვითარებელი ხალხი წინანდელივით გავა მორჩილად საომრად და ყოველთვის დაამარცხებს განვითარებულ ქვეყანას. და ამნაირად მოისპობა უთუოდ განვითარება და დედა-მიწაზე გაბატონდებიან ჩამორჩენილი ხალხები...

ამას გარდა, თუ ყოველ შემთხვევაში გვინდა მოისპოს ჯარების საშუალებით ხალხის შევიწროვება შინ და სისხლის ღვრა გარედ, უნდა მოვახდინოთ გაფიცვა ახლავე საზოგადოდ ჯარების საწინააღმდეგოდ... შეიძლება სთქვან, რომ გაფიცვა საქმიანობის დროს უნდათ, რომ ამნაირი საქმიანობის დრო ჯარისთვის ომიანობის დრო არის; მაგრამ ავიწყდებათ, რომ სწორედ მშვიდობიანობის დროს ვარჯიშობს ჯარი, ემზადება

და სწავლობს და ამიტომ მშვიდობიანობის დროს ჯარების მოსპობა ომიანობის მოსპობას დაედარება.

მაგრამ ამას არ ურჩევენ არავის. პირიქით, უნდად ერთსა და იმავე დროს გაჩერდნენ უბრძოლველად და მოახდინონ რევოლუცია.

აქ შეიძლება ორი შემთხვევა წარმოვიდგინოთ: ომის მოწინააღმდეგე ნაკლები თუ შეიქმნა, მაშინ კაპიტალისტური მთავრობა ჯარის მეორე ნახევარის დახმარებით ამათ აჯანყებულებად გამოაცხადებს, ციხეში ჩასვამს და ომს მაინც განაგრძობს...

მეორეს მხრივ, ომის მოწინაღმდეგეებმა რომ გაიმარჯვონ კიდეც შინ, გარეშე მტერი ომიანობაზე ხომ მაინც ხელს არ აიღებს, მოვა და ახლად გამარჯვებულ მუშა-ხალხის ბატონობას მოუღებს ბოლოს... ძნელი წარმოსადგენია, რომ გარეშე სახელმწიფომ, თუნდ გერმანიამაც, ამ დროს აიღოს ხელი ომზე.

მართალია, მუშა-ხალხის ძლიერება გერმანიაში დიდია, მაგრამ მაინც ძნელი საფიქრებელია, რომ იქაურმა მუშა-ხალხმა იმავე დღეს მოახერხოს ომიანობაზე ხელის აღება და არა თანამოაზრე გერმანელების გაჩერებაც.

ცხადია, რომ გავა რამოდენიმე დრო, სანამ ეს მოხერხდებოდეს, და იმ დრომდის გერმანელების ჯარის შემოსევას საფრანგეთში ვერ გააჩერებს ვერავინ.

არა, რთული საპოლიტიკო საკითხის ასე ადვილად გადაწყვეტა არ შეიძლება.

ჩვენ უნდა გამოვუცხადოთ ყოველ მთავრობას, რომ ომიანობა კაცის მკვლელობად მიგვაჩნია, რომ ომიანობა ბოროტ-მოქმედება გვგონია და რომ ყოველთვის და ყოველგან ვეცდებით ხელი შევუშალოთ ომიანობას.

ამითი ხელფეხს შევუკრავთ მთავრობას და გავაძნელებთ ომიანობას. მაგრამ, თუ, საუბედუროდ, მაინც დაიწყო ომი, ჩვენ არ გავჩერდებით განზე და გულგრილად არ შევხედავთ რესპუბლიკის დარღვევას, დამონებას. არა, ჩვენ ვეცდებით ავაშოროთ მას ყოველი ბატონი—სულ ერთია კაპიტალის სახით შემოვა იგი, თუ უცხოელების სახითაც.

ჩვენ ვეცდებით დამყარდეს მთელ დედამიწაზე ახალი წესი, ახალი სოციალური წყობილება, რადგანაც ვიცით, რომ ეს წყობილება არ გვისპობს სამშობლოს, არ ამცირებს ეროვნულ გრძნობას, ვიცით, რომ, პირიქით, იმ მომავალ საზოგადო წყობილებაში ყოველი ეროვნება უფრო თავისუფლად განვითარდება, რადგანაც მაშინ გაბატონდება მშრომელთა ძმობა"!..

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა საგენტოებისაგან)

27 მაისი.

კიევი, 27 მაისი. კიევის გუბერნატორმა სოფლებში გასავრცელებლად დაჰგზავნა განცხადება შემდეგის შინაარსისა: კიევის გუბერნიის ზოგიერთ ადგილებში გლეხებმა არეულობა მოახდინეს და მინდვრებიდან ძალათი დაითხოვეს დღიურად მომუშავენი და მოსამსახურენი; თავის ნებით იწყებდნენ მუშაობას, რამდენიც საჭიროა, იმაზე მეტი მუშები და დღიურ ფასად ერთს მანათს თხოულობდნენ. როდესაც ამის შესახებ გამოვკითხეთ, აღმოჩნდა, რომ ხალხში დადის ცრუ ხმები, ვითომც ხელმწიფეს გამოეცეს მანიფესტი, რომელიც მემამულეებსა და მოიჯარადრეებს ავალებს მომუშავეთ თითო მანათზე ნაკლები არ მიეცესო. ამით ვაცხადებ, რომ ამისთანა მანიფესტი ხელმწიფეს არ გამოუცია. ამისთანა ხმებს ავრცელებენ ბოროტ-განმზრახველნი, რომლებსაც არეულობის მოსახდენად გლეხ-კაცები შეცდომაში შეჰყავთ. ვაფრთხილებ გლეხებს, ყური არ უგდონ ამისთანა ხმებს და საქმის ვითარების აღსახსნელად მიმართონ ხოლმე მომრიგებელ შუამავლებს და ახსოვდეთ, რომ ყოველ-გვარ არეულობის ჩასაქრობად ჩვენ შეიარაღებულ ძალას მივმართავთ. ძარცვა-გლეჯაში დამნაშავეთ, შესაფერ სასჯელს გარდა, გადახდებათ ზარალის დირებულებაც.

კოპენჰაგენი, 26 მაისი. როგორც ლაპარაკობენ, ნორვეგიის მთავრობას სურს, რომ ნორვეგიის სამეფო ტახტზე ავიდეს დანიის პრინცი კარლოსი. ამბობენ აგრეთვე, რომ ნორვეგიის დეპუტაცია იქით კვირაა კოპენჰაგენში წავა და ნორვეგიის ტახტს დანიის პრინცს ვოლდემარს შესთავაზებსო. 25 მაისს საღამოზე სტოკჰოლმსა და ქრისტიანიაში მშვიდობიანი დემონსტრაციები მოხდა. რამდენიმე ათასი კაცი და ქალი გაემგზავრა როზენმუნდის საზაფხულო სასახლისკენ. მეფე, თავის მეუღლით, აივანზე გამოვიდა. ხალხი აღტაცებით მიეგება, მეფე თავს უკრავდა.

ვაშინგტონი, 27 მაისი. გერმანიის ელჩი გუშინ რუზველტს ესაუბრა. როგორც ეტყობა, დიპლომატების მოლაპარაკებას ჯერ-ჯერობით ბევრი მნიშვნელობა არა აქვს. იაპონიის ელჩმა გამოუცხადა რუზველტს, ჩემს მთავრობას ფიქრად რა აქვს, არ ვიციო.

ნიუ-იორკი, 27 მაისი. რუზველტი ვირგინიაში მიდის და ორშაბათს დაბრუნდება. პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ მანამდისინ რუსეთსა და იაპონიას შორის მოლაპარაკება წინ წაიწევსო.

ქრისტიანია, 27 მაისი. დღეს ახელშუსის სიმაგრეზე დიდის ამბით უნიის ბაირაღი ნორვეგიის სამ-ფეროვან ბაირაღით შესცვალეს. მოედანზე თავი მოიყარა 3000 კაცმა. სტორტინგის წევრებიც იყვნენ. კომენდანტმა სტორტინგის გარდაწყვეტილება წაიკითხა. უნიის ბაირაღი რომ დაუშვეს და ნორვეგიისა აათრიალეს, ჯარებმა თოფ-ზარბაზანი დასცალეს. მთავრობას და სტორტინგს ყოველ-მხრიდან მოსალოცი დეპეშა მოსდით. დესპანებმა კოპენჰაგენს, რომსა და მადრიდში უნიის მოსპობის გამო სამსახურს თავი გაანებეს.

ვარშავა, 27 მაისი. „ზაპადნი გოლოს“-ის რედაქცია მკითხველებს აუწყებს: ცენზურის შევიწროების გამო იძულებული ვიყავით გამოცემა შეგვეჩერებინა, მაგრამ იმედი გვაქვს, მომავალში, როდესაც ცენზურაში ცვლილება მოხდება, ისევ აღვადგინოთო.

პეტერბურგი, 27 მაისი. ოფიციალური. პირველი სხდომა მინისტრთა რჩევისა გრაფის სოლსკის თავმჯდომარეობით, რომელსაც აბარია შემუშავება ბულიგინის პროექტისა წარმომადგენლობის შესახებ, მოხდა 26 მაისს. შემდეგი სხდომები მოხდება ყოველ-დღე, რომ რაც შეიძლება მალე დასრულდეს პროექტის განხილვა. სხდომაში მონაწილეობას იღებენ მინისტრთა რჩევის ყველა წევრები. გაზეთების ცნობები იმის შესახებ, რომ სახელმწიფო საბჭო შეიკრიბება ხოლმე ყოველ წელიწადს მხოლოდ თვე ნახევარი—ორი თვე, ტყუილია. ყოველ-წლიური მუშაობა საბჭომ აღნიშნა სახელმწიფო რჩევის პროექტის თანახმად—დაახლოვებით 8 თვე. «სოფლის მოამბე“-ში დაბეჭდილია განცხადება განსაკუთრებულ რჩევის თავმჯდომარისა. ამ რჩევას მიზნად აქვს, გამოსძებნოს საშუალებანი საგლეხო მიწად-მფლობელობის განსამტკიცებლად. დაიწყო თუ არა მუშაობა, რჩევამ ილაპარაკა გლეხების წარმომადგენლების მოწვევის შესახებ სოფლის ვითარების გამოსარკვევად. რჩევის მოს[illegible] ამ კითხვის შესახებ მოწონებულ იქნა მის იმპერ[illegible]ებით უდიდებულესობისაგან. ამორჩეულნი და ნდობით აღჭურვილნი გლეხები მოწვეულნი იქმნებიან უმაღლესად დამტკიცებულ რჩევაში, რომელსაც აბარია საგლეხო მიწად-მფლობელობის განსამტკიცებლად საშუალებათა გამოძებნა. ამორჩევის წესი გლეხებისათვის თავის დროზე იქმნება გამოცხადებული. გლეხთა მოწვევა განზრახულია მიმდინარე წლის შემოდგომაზე, როდესაც რჩევა მასალას საკმაოდ დაამზადებს.

ვაშინტონი, 27 მაისი (რეიტ.). ფილიპინების გუბერნატორმა ტელეგრაფით შეატყობინა ტაფტს, რომ რუსის გემები ნავთ-სადგურიდან არ გავიდნენ აღნიშნულ დროს. ამის გამო ისინი იმყოფებიან ადმირალ ტრენის ზედამხედველობის ქვეშ. ტრენმა ყოველგვარი ღონისძიება იხმარა გემების დასაკავებლად. როგორც ამბობენ, ამ გემებს ამერიკის სამხედრო გემების „ოგიო“ და „მონადნოკი“ ზარბაზნებით იფარავენ.

პარიზი, 27 მაისი (ჰავასი). ნოტა, რომელიც ჩააბარა რუვიემ, წარმოადგენს კოლლექტიურ ნოტას, რომლითაც გერმანიის მთავრობამ მიჰმართა ყველა სახელმწიფოებს. მან აღიარა, რომ ეთანხმება მაროკოს მთავრობის წინადადებას, გადაეცეს საერთაშორისო კონფერენციას კითხვა რეფორმების შესახებ. გერმანიის მთავრობას მოჰყავს მე-17-ე მუხლი მადრიდის კონვენციისა, რომელიც ყველა სახელმწიფოებს, რომლებსაც კონვენციაზე ხელი უწერიათ, სხვა სახელმწიფოებზე უფრო უკეთეს მდგომარეობას გარანტიას აძლევდა. რუვიემ ნოტა მხედველობაში მიიღო. იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც ნოტა გადაეცათ, ჯერ პასუხი არ მიუციათ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის საგენტოებისაგან)

27 მაისი.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩისა 26 მაისის თარიღით: „ჩვენს მარცხენა ფრთეზე იაპონელებმა 23 მაისს მოწინავე რაზმებზე იერიში მოიტანეს, მაგრამ სადარაჯო რაზმებმა თოფის სროლით შეაჩერეს. 23 მაისს ცინხეს ველზე, გაგზავნილმა ერთმა რაზმმა, მტრის მოწინავე რაზმებს უკან დაახევინა და სოფელი სანძიატაი დაიჭირა. მეორე რაზმმა, რომელიც ხუნხეს ველზე იყო გაგზავნილი, შეიხედან სამხრეთ-დასავლეთით წინ წაიწია, მესამე რაზმმა მტერი სოფელ ნანმანჟენძიდან განდევნა და ტოუანგოუსკენ წაიწია.

შანჰაი, 26 მაისი. ლინევიჩი ამჟამად ფილქუაონთან იმყოფება და სიმაგრეებს ათვალიერებს.

ტოკიო, 26 მაისი. გამოცხადებულია, რომ როჟესტვენსკის ჭრილობები ურჩება, მისი შტაბის უფროსიც კარგად არის.—იმის შემდეგ, რაც რუსის ფლოტი დაიღუპა, რუსები ხმელეთზე დიდს მზადებაში არიან. როგორც ეტყობათ, იაპონელებზე თავ-დასხმას აპირებიან. ჯარი იტანჯება უწყლობითა და სიცხით. კარვები არა აქვთ, რის გამოისობითაც რამდენიმე ასი კაცი ჩანჩუნიდან გირინში გაჰგზავნეს.

ლონდონი, 27 მაისი. გაზეთ „დეილი ნიუს“-ის წარმომადგენელი ესაუბრა ბარონ სუემაცუს ამალის წევრს, პროფესსორ ტაკაკუზას. პროფესორმა სთქვა, იაპონია მოითხოვს, რომ რუსებმა მანჯურია დასცალონ და კორეა იაპონიის პროტექტორობის ქვეშ გამოაცხადონო. იაპონიას ნება აქვს პორტ-არტური ხელიდან არ გაუშვასო. ვლადივოსტოკის შესახებ გარკვევით ვერაფერს ვერ ვიტყვი. თუ ზავი ახლავე ჩამოვარდება, იაპონია მოითხოვს ვლადივოსტოკის იარაღის აყრას, სახალინის დათმობას და კონტრიბუციის გადახდასაო. კონტრიბუციად 150 მილიონი გირვანქა სტერლინგია დანიშნულიო.

ტოკიო, 27 მაისი. ოფიციალური. 25 მაისს მანჯურიის მდგომარეობა ასეთი იყო: იაპონიის რაზმი იანშუიშუსკენ გაემართა და რუსის ერთ როტას—50 ცხენოსანს—შავინგანის აღმოსავლეთით დაახევინა. შემდეგ იაპონელებმა დაიჭირეს შაპინგანის აღმოსავლეთით და ჩანჩეძუს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე მაღლობი. რუსის ცხენოსანთა პატარა რაზმებმა იერიში მიიტანეს სუტანტაისა და შიტიანტიზე, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ.

ვაშინგტონი, 26 მაისი. იაპონიის ელჩი გუშინ პრეზიდენტ რუზველტს მთელის საათის განმავლობაში ეთათბირებოდა. ხმა დადის, რომ პეტერბურგში მყოფ ამერიკის ელჩისაგან დეპეშას მოელიანო. ოფიციალურ წრეებში მითქმა-მოთქმაა, რომ იაპონია შეეცდება მეტად დამამცირებელი პირობები არ წარუდგინოს რუსეთსაო. კასსინი უარსა ჰყოფს, ვითომც მას პეტერბურგში გადაეცეს ზავის პირობები. რუზველტის აზრით, მანჯურიის დაცლა და კონტრიბუცია ზომიერებას არ აღემატება. იაპონიას არა უცნობებია-რა საზაო მორიგებაზე. 26 მაისს არა გამომჟღავნებულა-რა. ამბობენ, რუზველტი სცდილობს მოლაპარაკება საიდუმლოდ შეინახოს, რომ რუსეთი არ შეურაცხჰყოსო.

პეკინი, 26 მაისი. გავლენიან წრეების აზრით, გონიერი მოთხოვნილება ომის დაწყებიდან კვირაში 25 მილიონ ფრანკს არ უნდა აღემატებოდესო. აქ გამოქვეყნებული დეპეშა იუწყება, რომ დელკასეს გადადგომა მისმა დაუდევრობამ გამოიწვია, როდესაც გერმანიის მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა და საფრანგეთის მისსია ფესს გაჰგზავნაო. ასეთი განცხადება, ალბად, მთავრობის ნებართვით იყო გამომჟღავნებული და ჩინეთის უმაღლეს პირთა და სასახლის მოხელეთა თვალში საფრანგეთს დიდად დაამცირებს აღმოსავლეთის საქმეებში, და გერმანიისკენ გადაჰხრის მათს თანაგრძნობასაო. გარეშე საქმეთა პოლიტიკის მცოდნე ჩინელები საშინლად სწუხან დელკასეს გადადგომის გამო. საფრანგეთის პოლიტიკამ ამ უკანასკნელს წლებში საფრანგეთის ძლიერება და გავლენა თვალსაჩინოდ განამტკიცაო.

ვაშინგტონი, 26 მაისი. „მორნინგ პოსტ“-ი ამბობს: იაპონია ბეჯითად უარობს ზავის პირობების გამოცხადებაზე, სანამ რწმუნებულთა კრება არ მოხდება. ზავის პირობებს მხოლოდ მაშინ წარმოვადგენთ, როდესაც დავრწმუნდებით, რომ რუსეთი ნამდვილად ითხოვს ზავის ჩამოგდებასო. ვაშინგტონში იმედოვნებენ, რომ ამ სამს დღეში დიდებული ამბები გამომჟღავნდებაო. რწმუნებულნი ორთავე მეომარ ქვეყნისა ვაშინგტონში ინახულებენ ერთმანეთსაო.

შანჰაი, 26 მაისი. როჟესტვენსკის ესკადრის ექიმები და მღვდლები მოვიდნენ. დამსწრეთა სიტყვით, იაპონელთა ზარალი უმნიშვნელოა. „ასახი“ სამგან იყო გახვრეტილი. მხოლოდ ერთი კრეისერი „იძუმო“ დაღუპულა. ჩვენი გემები ამ რიგად დაიღუპა: „ოსლიაბია“, „კნიაზ სუვოროვი“, „ალექსანდრ III,“ „ბოროდინო“. ეს უკანასკნელ 20 წუთში ჩაიღუპა. „ნიკოლაი 1“, „სინიავინი“ და „აპრაქსინი“ თითქმის დაუზიანებელია. ნებოგატოვმა უფროსების ნება-დაურთველად ნიშანი ასწია: „ალყა შემოკრული ვარ—ვნებდებიო“. უმთავრესი მიზეზი დამარცხებისა ის იყო, რომ ნებოგატოვს გარდაეცა უფროსობა და ყველა დარწმუნებული იყო—როჟესტვენსკი დაიღუპაო.

ვაშინგტონი, 27 მაისი („ასსოსიედ პრეს“). ძლივს მივიღეთ ცნობები რუსეთისა. საერთოდ ხელშემწყო ნიშნები მოსჩანს. პეტერბურგში მყოფი ამერიკის ელჩი იუწყება, რომ რუსეთის მთავრობა თანხმობას აცხადებს ამ საკითხის განხილვაზე. ეტყობა, რომ ამერიკა თავის სამსახურს არ იშურებს და რუსეთიც თანხმობას უცხადებს.

ტოკიო, 27 მაისი. (დეილი ტელეგრაფი). იაპონიის აფიცერი ამბობს, კორეის სრუტეში მომხდარ ბრძოლაში იაპონელები რომ ერთხელ გამოისროდნენ, რუსები ხუთის სროლით უპასუხებდნენო. როჟესტვენსკი ცდილობდა იაპონელების გემებს დაახლოვებოდა, მაგრამ ვერ მოახერხაო. რუსის კონტრ-ნაღმოსნები იაპონიის ნაღმოსნებს ვერ შეედრებიანო. რუსის ნაღმოსნებს იერიში ერთხელაც არ მიუტანიათ.

მანილლა, 26 მაისი. დამატებით ცნობებიდანა სჩანს, რომ რუსები იაპონელებთან შეხვედრას ცუსიმას სრუტეში სრულებითაც არ მოელოდნენ, ბრძოლისთვის მზად არ იყვნენ და აირივნენ. ადმირალი ტრენი რუსებს, ალბად, წინადადებას მისცემს, რომ ზარბაზნებს კლიტეები ახსნან და მანქანები დამალონ.

ტოკიო, 27 მაისი (რეიტ.). გვატყობინებენ, რომ იაპონელებმა უკან დაახევინეს 50 სალდათისაგან შემდგარ როტას და ლიანშუიჩენისკენ გაემართნენ. 25 მაისს, დილის 3 საათზე, იაპონელებმა დაიჭირეს ჩაპენვანის აღმოსავლეთით მდებარე მაღლობი. დილის 6 საათზე რუსებმა იერიში მიიტანეს სუპანგტაიზე და შისტიოტაიზე, მაგრამ იაპონელებმა უკუ აქციეს.

(დამის დეპეშები იხილე მე-4-ზე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

—

როჟესტვენსკის ჯავშნოსნები. საზოგადო აზრია, რომ თანამედროვე ჯავშნოსნის დაღუპვა მარტო ყუმბარებით შეუძლებელია. როჟესტვენსკის ახალი და საუკეთესო ჯავშნოსნები—,,ალექსანდრ III'', ,,ბოროდინო'' და ,,სუვოროვი'' კი მხოლოდ ყუმბარებმა ჩასძირეს. შარშან, 28 ივლისს, იაპონიის გემები უმთავრესად ,,ცესარევიჩს'' მისივნენ, ყუმბარებით სულ დავხრიტეს, გაწიწკნეს, მაგრამ მაინც ვერ დაჰღუპეს. ასეთივე ამბავი დაემართა ,,რეტვიზან''-საც. ორივე გემი რამდენჯერმე იყო დაზიანებული. 27 იანვარს იაპონელებმა ორსავე გემს ძლიერ შეუმტვრიეს გვერდები, მაგრამ მაინც გადარჩნენ. რისგან მოხდა, რომ 14 მაისს ასე მალე, ასე ადვილად ჩაიძირნენ როჟესტვენსკის ჯავშნოსნები, რომელნიც რუსებს რაუკეთესო გემებად მიაჩნდათ მთელ ქვეყანაზე? მერე რით განსხვადებოდნენ ეს გემები ,,რეტვიზან''-ისა და ,,ცესარევიჩ''-ისაგან? მხოლოდ იმით, რომ ,,ცესარევიჩ''-ი და ,,რეტვიზან''-ი საზღვარ-გარედ იყვნენ აშენებულნი, ,,ბოროდინო'' და სხვანი კი—პეტერბურგში. ცხადია, რომ რუსეთის ფლოტი 14 მაისს ბიუროკრატიის მეოხებით დაისაჯა. აკი მაშინვე ამტკიცებდნენ, რომ ბიუროკრატიის-მიერ აშენებული გემები მხოლოდ ქაღალდზე იყვნენ უძლეველნიო. შარშანვე ამტკიცებდნენ, რომ ამ

ფელეტონი

ბულგარიის წარსულიდან

ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, სადაც არა ერთი და ორი მამულიშვილი ამ წუთისოფელს გამოთხოვებია, სადაც დღესაც მაკედონიის ხალხი ცდილობს თავისუფლების მოპოვებას—სხვა ერებთან ერთად ცხოვრობენ ბულგარელებიც...

ოდესღაც ძლიერი ბულგარია ბოლოს ოსმალეთს დაემორჩილა... თავისუფლების მაგივრად ბულგარიის ხალხს წილად ხვდა მონობა.

ოსმალეთი ექცეოდა ბულგარიას ისე, როგორც ყოველი გაბატონებული ერი ექცევა დამორჩილებულს... ბულგარელებმა სავსებით გამოსცადეს მონობის სიმწარე...

ყოველი ოსმალელი ბატონი იყო ბულგარელებში, ოსმალეთის მთავრობა ართმევდა ბულგარელ გლეხებს მათ მიწა-წყალს, უკეტავდა სასწავლებლებს, გადაგვარების გზაზე აყენებდა ძალით, ე. ი. უნდოდა ბულგარელების ხსენება მოესპო დედამიწაზე.

მაგრამ გაბატონებულ ოსმალებზე უარესი თავიანთ თანამემამულეთათვის თვით გადაგვარებული ბულგარელები შეიქმნენ. ერის მოღალატე ყოველთვის საზიზღარი ყოფილა და ბულგარელებიც ზიზღსა და სიძულვილს უძღვნიდნენ იმათ, ვინც შემოსავლიან ადგილზე სცვლიდა სამშობლოს დიდებას.

მაგრამ ბულგარელები მაინც ითმენდნენ თავიანთ მდგომარეობას, მოთმინების ძარღვი ჯერ არ გამწყდარა სრულად, მხოლოდ აქა-იქ რამოდენიმე სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ადამიანი სტოვებდა ოჯახს, ადგენდა რაზმებს და ტყეს ან მთაში ცხოვრობდა, გზაში მტერს უხვდებოდა, ჰკლავდა იმათ, ვინც აეიწროვებდა საყვარელ სამშობლოს. ამნაირად მომქმედ ბულგარელებს ,,გაიდუკები'' დაერქვათ.

ეს ,,გაიდუკობა'' აწუხებდა ბულგარიაში გაბატონებულ უცხოელებს მაგრამ საშიში არ იყო. ხალხის მტრისათვის ხალხის მოძრაობა მხოლოდ მაშინ არის საშიში, როდესაც იგი საერთო ხდება, როდესაც მთელი ერი, როგორც ერთი ადამიანი, იბრძვის ერთობით ერთხელვე დასახულ მიზნის მისაღწევად და საამისოდ არ ზოგავს სიცოცხლეს, არ ზოგავს არაფერს.

ამნაირი ერი უძლეველია!..

სწორედ ასე ადგა ბოლოს ბულგარიაც. ხალხის მეთაურები სოფლად დაიარებოდნენ, აფხიზლებდნენ ხალხს, უღვიძებდნენ გულში მომავლის იმედს, თავისუფალ ცხოვრების სურვილს, ეუბნებოდნენ, რომ ცხოვრების გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხი თავისუფალი, როდესაც მას არავითარი გარეშე ბატონი არ აზის კისერზე...

ბულგარიის ხალხმა შეისმინა ეს ქადაგება: ,,ჩვენ არ ვეძებთ სიმდიდრეს,' მღეროდა იგი,—არა, ჩვენ გვწყურია მხოლოდ თავისუფლება! აღსდექით ძმებო! ააფრიალეთ თავისუფალ ცხოვრების დროშა, ის დრო წავიდა, როდესაც ქედს ვიხრიდით მონურად საერთო ბატონის წინაშე! ახლა სხვა დრო დაგვიდგა, ახალ სანეტარო დრო!“

ხალხის ასაჯანყებლად განსაკუთრებული კომიტეტები დაარსდა. მთავრობა სდევნიდა კომიტეტების წევრებს, ციხეში აგდებდა, აძევებდა სამშობლო მხარედან, მაგრამ ამაოდ...გამოფხიზლებულ ხალხს ვერავითარი ძალა ვერ გააჩერებს... ერთ გაძევებულ ან დატუსაღებულ მამულიშვილის ადგილას ათი ჩნდებოდა და ხალხი ორკეცის გატაცებით ასრულებდა კომიტეტების ბრძანებას.

ამ მოძრაობის სათავეში იდგა იმ დროს სხვათა შორის, ერთი ბულგარელი დიაკვანი ვასილ ლევსკი.

ერთ ხანს იგიც გაძევებულ იქმნა სამშობლო მხარედან. ბუქარესტში ლიუბენ კარაველოვთან ერთად ლევსკი ბულგარელ ხალხში გასავრცელებლად ამნაირ რამეებს სწერდა:

„ყოველი ჩვენთაგანი ამჟამად ცდილობს სამშობლოს თავისუფლებას, ამიტომ ყოველი პატიოსანი ადამიანი ჩვენში ვალდებულია სულით და გულით მოჰკიდოს ხელი ამ დიად საქმეს,—უნდა დაამტკიცოს, რომ ნამდვილი მამულის შვილია, რომ მართლაც უყვარს თავისი სამშობლო! თქვენი თავის ცოტაოდენი პატივისცემა თუ გაქვთ, უნდა შეასრულოთ ერის სურვილი, უნდა მოიხვეჭოთ თავისუფლება, უნდა განაძევოთ უცხოელები. იცოდეთ, რომ ვალდებული ხართ მოიქცეთ ასე,—თუ უღალატეთ ამ საქმეს, თუ უღალატეთ სამშობლოს, —ყოველი პატიოსანი ადამიანი დაგწყევლით უთუოდ!.. ვისაც არ უნდა თავისუფლება, ის არ არის ადამიანი, ის პირუტყვია... თქვენ წინაშე ორი გზაა ამჟამად გადაშლილი: ერთი თავისუფლებას გიქადით და, აი, ამ გზაზე სავლელად გიწვევთ, ვინაიდან ამ გზას ადგია ერი, მეორე გზა კი—მონობის გზა არის. ამ გზაზე დამდგარმა თავი უნდა დაიმციროს მტარვალის წინაშე... მაშ დაჩქარდით და თქვენი სახელი ოქროს ასოებით ჩასწერეთ სამშობლოს ისტორიაში, თუ არ გინდათ, რომ სხვებმა ეს თქვენი სახელები შავის ასოებით ჩასწერონ... აბა, გამოაცხადეთ, რა გენატრებათ: ოქროს თავისუფლება თუ შავი მონობა?.

ჩვენი მისწრაფება ხომ იცით ყველამ! ჩვენ გვინდა უცხოელების ჩამოშორება, გვინდა მონობის მოსპობა, გვენატრება თავისუფლება! მაშ მოემზადეთ ბრძოლისთვის, მალე, მალე დადგება დიადი წამი...

გამარჯვებისთვის გვჭირია ორი რამე, კაცები და ფული. კაცი ბევრი გვყავს, მხოლოდ ჯერჯერობით არა გვაქვს ფული, არა გვაქვს, მაგრამ მალე გვექნება უთუოდ! ყველამ შემოსწირეთ რამე ამ საქმეს, ვისაც რამდენი შეგიძლიანთ შემოგვეწიეთ... ყოველი კაპეიკი ჩვენთვის ამ ჟამად საჭიროა და ძვირფასი, საჭიროა სამშობლოს გასანთავისუფლებლად! ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც მიიღებს მონაწილეობას ბრძოლაში, მისი სახელი უკვდავი დარჩება მუდამ, ხოლო წყეულიმც იყოს ყოველი მშიშარა, მოღალატე, სამშობლოს გამცემი... იცოდეთ, რომ მოძრაობას სათავეში უდგია მხნე და გაბედული კაცები, რომ მათ არაფრის არ ეშინიათ, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ გადაჭრით: თავისუფლება ან სიკვდილი! სატუსაღო, მტრის ტყვია ვერ შეგვაშინებს! სამშობლოს განთავისუფლებისთვის დაწყებულ ბრძოლაში სიკვდილი სანატრელია ყველასთვის! მაშ მალე, გამოაცხადეთ აშკარად, ვინ მოგვემხრობა და ვინ არის ჩვენი მოწინააღმდეგე. ათასი თავდადებული ახალგაზდა მამულიშვილი თქვენს პასუხს მოუთმენლად მოელის... მალე!..''

ეს მოწოდება მთელ ბულგარიას მოედო. მიყრუებულ სოფლებშიაც გაიგო ხალხმა, რომ მალე უნდა ამხედრდეს ყველა, რომ მალე მიენიჭება თავისუფლება.

იმ დროს იყო, რომ რუმინიამ თავისი საკუთარი სახელმწიფო მოიწყო, რომ საბერძნეთმა მიაღწია თავისუფლებას, რომ სერბია, ბოსნია, ჰერცოგოვინა ემზადებოდნენ ბრძოლისთვის.

ბულგარელებმა სერბიის ხალხთან ერთად მოისურვეს ამ ბრძოლის დაწყება, ამიტომ ორივე ერის საიდუმლო კომიტეტებმა ერთმანეთში მოლაპარაკება გამართეს:

ყველას ერთი მიზანი გვაქვს დასახულიო, გვინდა უცხოელების განდევნა, გვინდა თავისუფლება; ამიტომ შეთანხმებაა საჭირო და მომავალშიაც ერთ სახელმწიფოდ უნდა ვიყოთო უთუოდ. ორივე ერის ენა ოფიციალურ ენად ითვლება სახელმწიფოში, სამსახურში ორივე ერის შვილები მიიღებენ ადგილებს, მაგრამ სერბიელმა კომიტეტმა ამ შეთანხმებაზე განაცხადა უარი.

მაშინ ბულგარელებმა გადასწყვიტეს, თავის საკუთარის ძალ-ღონით დაეწყოთ საქმე. განსაკუთრებით ლევსკი ცხარობდა და აცხადებდა:

1) ჩვენი მიზანია ხალხის გამოფხიზლება, აშკარა აჯანყების მომზადებაო. სახელმწიფოს მართვა-გამგეობის მოწყობა განთავისუფლებულ ხალხის სურვილზე უნდა იყოს დამოკიდებულიო.

2) საამისოდ საჭიროა სიტყვიერი აგიტაცია, წიგნების გავრცელება, გაზეთების ბეჭდვა და სხვადასხვა; საჭიროა აგრეთვე იარაღის შეძენა.

3) ჩვენ გვინდა მეზობლებთან მეგობრულად ვიცხოვროთ. მოვა დრო, და მათთან ერთად საერთო, შეკავშირებულ სახელმწიფოს შევადგენთ.

4) იქ, სადაც ჩვენი ხალხია დასახლებული, მართვა-გამგეობაც ჩვენსავე ხელში უნდა გადმოვიდეს უთუოდ.

5) ყოველ ეროვნებას უნდა ჰქონდეს მინიჭებული თავისუფლება. ჩვენ არ გვინდა სხვის დამონება, მაგრამ არასოდეს ნებას არ მივცემთ არავის—გაბატონდეს ჩვენზე, მონებად გაგვხადოს.

6) ჩვენ გვინდა პიროვნების თავისუფლება, სიტყვის, რწმენის თავისუფლება, რომ ყველას შეეძლოს იცხოვროს ისე, როგორც თვითონ სურს. ამნაირივე თავისუფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული ჩვენს მეზობლებსაც.

7) ყველა, ვინც ხელს გვიშლის ამ დიად საქმეში, მტერია და მოღალატე, ჩვენი ერის მოღალატეა, და ჩვენც ვალდებულნი ვართ ყველგან ვსდევნოთ ასეთი პირები.

8) ჩვენ გვინდა უცხოელ მთავრობის დამხობა, უცხოელ ერის საწინააღმდეგო არაფერი არა გვაქვს, პირიქით ვაქებთ იმ უცხოელებს, ვინც ხელს გვიწყობს განთავისუფლების დიად საქმეში.

ამავე აზრის იყვნენ კომიტეტების წევრებიც. და ხალხიც აღტაცებით ეგებებოდა ახალ ცხოვრების განთიადს.

მთავრობამ იცოდა, რომ ამ მოძრაობის ერთიერთი მეთაურთაგანი იყო ლევსკი, ამიტომ დიდს საჩუქარს დაჰპირდა იმათ, ვინც მოჰკლავდა, ან დაიჭერდა მას. მსურველიც გამოჩნდა, ეს იუდა გამცემელი იყო მღვდელი პოპ ორესტო, რომელმაც გააგებინა მთავრობას ლევსკის ბინა.

ერთხელ ლევსკის დამშვიდებულად ეძინა ტყეში. უცებ რაღაცა ხმაურობა მოისმა... ამხანაგები წამოხტნენ და დაინახეს, რომ მათ სახლის გარშემო ჯარის კაცები ყოფილან შეგროვილნი... წამოხტა ლევსკიც... „დალატი!“ გაუელვა მას გონებაში და თვითონაც ელვასავით გავარდა გარედ...

ღამე იყო, ჯარის კაცებმა ვერ გააჩერეს გამქცევი, მაგრამ მესერზე გადასვლის დროს ლევსკის ფეხსაცმელი მიედო რაღასაც და მდევრებმა მაგრად შეუბოჭეს ხელები.

— მშვიდობით, ძმებო! წამოიძახა დაჭრილმა... მშვიდობით სამშობლოვ!..

მერე ჯარის კაცებს მიუბრუნდა: დამიჭირეთ, მომკალით! მაგრამ იცოდეთ, რომ ჩემს ადგილას სხვა ასი მებრძოლი გამოუჩნდება სამშობლოს... ისინი დააგვირგვინებენ ერთხელვე დაწყებულ საქმეს!..

მთავრობას ლევსკის სამაგალითოდ დასჯა უნდოდა, საჯაროდ, მაგრამ აქაც ლევსკიმ არ გაახარა სამშობლოს მტრები და თავი სატუსაღოში თვითონვე მოიკლა: კედელს მიეხეთქა და თავი გაიპო... ეს იყო 1873 წელს...

ასე დაიღუპა თავისუფლების მებრძოლი, მაგრამ მისი საქმე არ დაღუპულა.

კიდევ რამოდენიმე თვე გავიდა მას შემდეგ და დაიწყო ძლიერი ომი. ბულგარელებმა ამ ომით ისარგებლეს თავისუფლების მოსაპოვებლად. ომი რომ გათავდა, გამოცხადდა ბულგარიის თავისუფლება.

განთავისუფლდა ეს ერი, ლევსკისა და სხვა მისთანა მამულიშვილების მეოხებით და სამშობლოს ადგილობრივ საქმეების გამგეობა თვით ბულგარელებს მიენდო...

—•

გემების აშენების დროს ბიუროკრატიას სულ უბრალო, ელემენტარული შეცდომები მოუვიდათ. ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ იაპონელთა რამდენმამე შიმოზემ რუსების ჯავშნოსნები ისე ადვილად ჩასძირეს, თითქო ეს გემები ქაღალდისა ყოფილიყვნენ და არა ფოლადისა. (რ. ვ.).

ღალატი. „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი სასებოდან იწერება: ნებოგატოვის ესკადრამ სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა. ეს ესკადრა იაპონიის მცოდნე მეზღვაურებმა გასინჯეს და აღმოჩნდა, რომ არცერთი გემი დაზიანებული არ იყო და ყუმბარებიც ბლომად ჰქონდათ. ბრძოლის დროს ნებოგატოვის მატროსები ისეთ ნაირად ისროდნენ ზარბაზნებს, რომ ყუმბარები იაპონიის გემებიდან ძალიან შორ მანძილზე ცვიოდნენ. დამტკიცდა, რომ რუსი მეზღვაურები განგებ ისროდნენ ყუმბარებს ასე ყალბად (რ.).

„ბერლ. ლოკ. ანც.“-ს პეტერბურგიდან სწერენ: ამბავი მოვიდა, ვითომ ბრძოლის დროს ნებოგატოვის მეზღვაურები აჯანყდნენ, თვითონ ნებოგატოვი და აფიცრები შეჰკრეს და გემები იაპონელებს ჩააბარესო. მეზღვაურებმა ამით შური იძიეს იმ 40 ამხანაგისა, რომელიც ნებოგატოვის ჩივილის გამო როჟესტვენსკიმ ჩინეთის ზღვაში დახვრიტა (რ. ს.).

კორესპონდენტების დეპეშებიდან. „ნოვოე ვრემიას“ ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ: გუშინ და გუშინ-წინ ინგლისელებს რუსები ებრალებოდათ და თანაგრძნობას უცხადებდნენ, დღეს კი პირდაპირ მასხარად იგდებენ. დასცინიან და სულ მიწასთან ანადგურებენ. მიზეზი ის არის, რომ დღეს ამბავი მოვიდა, რუსეთის საზოგადოებაზე რუსეთის ფლოტის განადგურებამ არავითარი გავლენა არ იქონიაო. ინგლისელები ამბობენ, ამ უბედურებამ ჩვენ, ინგლისელებიც კი, შევაძრწუნა და რუსები როგორ გულგრილობენო? ეს გულგრილობა ამტკიცებს, — აცხადებენ ინგლისური გაზეთები, — რომ რუსეთი იხრწნება, იღუპებაო. ინგლისს ტყუილი შიში ჰქონდა რუსეთისა. ისეთი დავარდნილი და გაუბედურებული სახელმწიფო, როგორიც რუსეთია, ინგლისს ვერაფერს დააკლებს და რუსები დღემდის ტყუილად გვემუქრებოდნენო.

რუსეთიდან ამბავი მოდის, — იწერება კორესპონდენტი, — რომ რუსეთი სულ აირია და სალათას ძილს მიეცაო. ეს ამბავი ინგლისელებს სიცილად არა ჰყოფნით. იაპონიას კი, პირიქით, მთელი ინგლისი პატივისცემით იხსენიებს და თაყვანსა სცემს იმის ფლოტს, რომელიც როჟესტვენსკის ესკადრაზე სუსტი იყო, მაგრამ ამის მიუხედავად სახელოვნად გაიმარჯვა. რუსები უეჭველად უნდა დამარცხებულიყვნენ, — აცხადებენ ინგლისელები, — რადგან არც ერთობა ჰქონდათ, არც იცოდნენ რამე, არც სროლა შეეძლოთ და ბრძოლას ხომ ერიდებოდნენ კიდევაც (ნ. ვ.).

ცუსიმას ბრძოლამ ხელადვე შესცვალა ინგლის-იაპონიის დამოკიდებულება, — იწერება მეორე კორესპონდენტი: — ორის კვირის წინად ინგლისს მხოლოდ კავშირის განახლება უნდოდა ძველის პირობებით, ახლა კი ამ კავშირის გაფართოვებას ცდილობს და თავის ინტერესების დარაჯად შორეულ-აღმოსავლეთში იაპონიის დაყენება უნდა. დღემდის ლიბერალები კავშირის გაფართოვების წინააღმდეგნი იყვნენ, ახლა კი კავშირის გაფართოვებას ყველაზე ძლიერ ისინი თხოულობენ. იაპონიაც გამხნევდა, ზავის პირობებსაც უმატა და ისიც მოითხოვა, ინგლისი და ამერიკა რუსეთის თავმდებად უნდა დაუდგნენ და რუსეთს ზავის პირობები შეასრულებინონო (ნ. ვ.).

იგივე კორესპონდენტი იწერება: აქ ათასნაირი ხმები გავრცელდა. ამბობენ, რუსებმა სულ არაფერი იცოდნენ ტოგოს ესკადრის შესახებ, მზვერავები არ უვარგოდათ, ყუმბარები ისეთ წამლით იყო გატენილი, რომ არ სქდებოდა, ზარბაზნებს განზრახ ჰაერში ისროდნენ, ან სულ არ ისროდნენ, ნებოგატოვის მეზღვაურები აჯანყდნენ და გემები თავის ნებით გადასცეს იაპონელებსაო და სხ. დღემდის იაპონია ცდილობდა კავშირის განახლებას, ინგლისი ყოყმანობდა, ეხლა კი ინგლისი ცდილობს კავშირის განახლებას, იაპონია კი ყოყმანობს და ამბობს, კავშირი გაფართოვებულ პირობებით განვაახლოთო. ამერიკიდან, ევროპიდან და მთელ ქვეყნიდან მოსულ დეპეშებიდანა სჩანს, რომ იაპონიის გამარჯვებას ყველგან აუწერელი შთაბეჭდილება მოუხდენია. საზოგადოება აღფრთოვანებულია იაპონიით; ყველანი იაპონიას მაგალითად სახავენ, თვით იაპონელებზე კი ამბობენ, ეს ხალხი ხორცშესხმული კეთილშობილება, პატიოსნება და სიმამაცეაო. ყველა სახელმწიფო იაპონიასთან დამეგობრებასა და დაკავშირებას ცდილობს. გერმანელები პრინც არისუგავას დიდის ამბით დაუხვდნენ. გერმანიის ამაყი იმპერატორი არისუგავას პატივისცემითა და მოწიწებით მიეგება. ინგლისელები ცდილობენ, გერმანელებს გადააჭარბონ და არისუგავას დასახვედრად დიდის ამბით ემზადებიან. ყველაზე ცუდი დღე საფრანგეთის კაპიტალისტებს დაადგათ. ამათ დიდი იმედი ჰქონდათ როჟესტვენსკისა, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ და ეხლა მხოლოდ იმაზე-ღა ჰფიქრობენ, რომ რუსეთში დაბანდებული ფული როგორმე დაიბრუნონ (ნ. ვ.).

მიზეზი როჟესტვენსკის დამარცხებისა. „ჟურნალ“-ის კორესპონდენტი ნოდო ტოკიოდან იუწყება: ცუსიმას ბრძოლის წინა დღეებში ერთმა იაპონელმა სახელმწიფო მოღვაწემ მითხრა, რუსეთის ესკადრის გასანადგურებლად ჩვენ ყველაფერი მოვამზადეთო. ტყვე რუსების სიტყვით, როცა ტოგოს მთელი ფლოტი გადაელობა წინ რუსეთის ესკადრას, როჟესტვენსკი ისე გაოცდა, თითქო მეხი დაეცაო. ბრძოლის წინა დღეებში როჟესტვენსკიმ რამდენიმე მზვერავი გემი გაგზავნა წინ. ამ გემებმა ცუსიმას ყურეებს ყუმბარები დაუშინეს და უნდოდათ გაეგოთ, იქ იყო თუ არა ტოგოს ესკადრა, მაგრამ იაპონიის გემებმა განგებ პასუხი არ გასცეს და რუსები მოატყუეს. იაპონელები ამბობენ, როჟესტვენსკი ძალიან შესცდაო: რუსების ფლოტი ისე იყო გაჭიანურებული, გემები ისე შორიშორს იდგნენ, რომ როცა წინა გემები ჩაიძირნენ, უკანა გემებს ჯერ თითო ჯერაც არა ჰქონდათ დაცლილი ზარბაზნებიო (რ. ს.).

„ფოსიშე ცაიტუნგ“ი სწერს: ეჭვსგარეშეა, რომ ცუსიმას ბრძოლის დროს ნაღმებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ. ტოგოს გამარჯვება მოუპოვა უმთავრესად მისმა ტაქტიკამ, მშვენივრად გაკეთებულმა გემებმა და გაწვრთნილმა, ნასწავლმა, გამოცდილმა და პატრიოტულ გრძნობით აღფრთოვანებულმა მეზღვაურებმა (რ. ს.)

ახალი ამბავი

კავკასიის ნამესტნიკმა ტფილისის გუბერნატორს ორმოცდა თხუთმეტი თუმანი გადასცა გადმოსახლებულთა დამხმარე კანცელარიის საწარმოებლად.

✦ გუშინ, ვერის სასაფლაოზე, ბლ. მღვდლის ციცქიშვილის თავმჯდომარეობით, **კრება ჰქონდა ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოებას.** კრებას დაესწრო ორასამდე წარმომადგენელი. მათ შორის დიაკვნებიც ერივნენ. კრებამ რამდენისამე ხმის უმეტესობით დაადგინა: დეპუტაცია გაუგზავნოს ექსარხოსს კრების ნებართვის ასაღებად; უკეთუ ექსარხოსი ნებას არ დართავს, დეპუტაციამ კავკასიის ნამესტნიკს უნდა მიჰმართოს იმავე თხოვნით. დეპუტაციაში არჩეულ იქმნენ: დეკანოზი ხახუტაშვილი, მღ. ჯიჯავაძე და მღ. კონტრიძე.

✦ გუშინ, 28 მაისს, თამამშევის ქარვასლა, დახურული ბაზარი და ხიდის ყურის დუქნები დილიდანვე დაკეტილი იყო. ნაშუადღევის $2\frac{1}{2}$ საათზე **ერევნის მოედნის და ქუჩის მაღაზიებიც ხელად მიაკეტინეს.**

✦ გუშინ ტფილისის სტუდენტთა კრებამ მოისმინა კომისიის მოხსენება სტუდენტის ნიკოლოოზ სულხანიშვილის საქმის შესახებ და დაადგინა: რადგან ამ საქმის შესახებ საკმარისი მასალა შეიკრიბა, **სულხანიშვილი საამხანაგო სამართალში იქმნეს მიცემულიო.** მოსამართლეები უკვე დაინიშნენ. კრებას სამოცზე მეტი სტუდენტი დაესწრო.

✦ გუშინ ახალ ამბებში გამოცხადებული გვქონდა, რომ გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილმა, **ახალ რუსულ გაზეთის გამოცემის ნებართვა** ითხოვაო. როგორც ნამდვილ წყაროებიდან შევიტყვეთ, ამგვარი თხოვნა წარუდგენია მთავრობასთან არა თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილს, არამედ მის ძმას—თავ. დ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილს. გაზეთს სახელად ეწოდება „ზაკავკაზსკაია პრავდა“ და რედაქტორად იქმნება, როგორც გამოცხადებული გვქონდა, მ. ვ. მაჩაბელი, რომელიც ამ ჟამად მიწად-მოქმედების სამინისტროს უწყებაში მსახურებს და რედაქტორობის დროსაც ამავე სამსახურში დარჩება.

✦ პარასკევს, 27 მაისს, მერვე საპოლიციო უბანში, არსენალის ქუჩაზე, ექვსი უცნობი კაცი **თავს დაეცა ამ უბნის პოლიციელს ფილენკოს** და ცემა დაუწყო, ერთმა უცნობმა მუცელსა და ბეჭში ხანჯლით მძიმედ დასჭრა, სხვებმა აჰყარეს პოლიციელს იარაღი და გაიქცნენ. მათ კვალს პოლიციამ ვერ მიაგნო. მძიმედ დაჭრილი პოლიციელი საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ ფშავ-ხევსურეთის ბოქაული **ი. ს. ოზიაშვილი**, რომელიც სტრაჟნიკთა კომანდით გაგზავნილი იყო ფშავ-ხევსურეთში, **მძიმედ დაუჭრიათ.** ეს ამბავი გუბერნატორს ეცნობა.

✦ საქართველოს ექზარხოსი **შუამდგომლობს უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორის წინაშე**, რომ ამიერ-კავკასიის ერობის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტში შეტანილ იქმნას 19,000 მანათი წელიწადში საეკლესიო სასწავლებლების დასახმარებლად. ამჟამად ამიერ-კავკასიაში 850 სამრევლო სასწავლებელია და მის შესანახავად ერობის ფულიდან ეძლევა 17,000 მანათი წელიწადში, ხოლო უწმ. სინოდის საფინანსო ხარჯთ-აღრიცხვით—173,760 მ., რაიც შეადგენს 190,760 მან. მაგრამ ეს ფული არ ჰყოფნის თურმე ამ სასწავლებლებს (კავკ.).

✦ სამშაბათს, 24 მაისს, სულთან-კრიმ-გირეისთან თავის ნებით მისულა **რამდენიმე სემინარიელი** და ორი სტუდენტი და ტფილისის სემინარიის ყველა მოწაფეების სახელით უთხოვნიათ: **ნება მოგვეცით ძველ პირობებში სწავლა განვაგრძოთო.** როგორც დანამდვილებით გავიგეთ, დანარჩენი მოწაფეები წინააღმდეგნი არიან ასეთის მოქმედებისა. ბ-ნ სულთან-კრიმ-გირეის გადაჭრილი პასუხი არ მიუცია: ერთ კვირაში გაიგებთ მართალსაო.

✦ ტფილისის ვაჟთა პირველ **გიმნაზიაში სწავლა დაამთავრა 72 კაცმა** და 8 ექსტერნმა. ამათში 19 ქართველია. ოქროს მედალი მიიღო კონსტანტინე ჯავროვმა.

✦ **პირუტყვთა მფარველ საზოგადოების გამგეობამ** გუბერნატორს **სთხოვა**, 1903 წელს გამოცემულ სამეურნეო წესდების თანახმად, შაშვებსა და ჩხართვებზე ნადირობა აკრძალეთო.

✦ დღეს, 29 მაისს, **რკინის გზის თეატრში** ქართულის დრამატიულ დასის ახალგაზდა მსახიობთაგან **წარმოდგენილი იქმნება** სუნდუკიანცის 3-მოქმედებიანი კომედია „პეპო“ და 1 მოქმედებიანი ვოდ. „დატრიალდა ჯარა“. ადგილების ფასი 10 კაპ. 40 კაპეიკამდეა.

✦ დღეს, 29 მაისს, შუადღის 12 საათზე, სახალხო თეატრის სცენის მოყვარულთაგან, არაქსიანის თეატრში (ავლაბარში) **წარმოდგენილი იქმნება** „ცხოვრების გარეშე“, კომედია 4 მოქ. პროტოპოპოვისა.

✦ როგორც ფოთიდან გვატყობინებენ, 27 მაისს, დილით, უნტერ-აფიცერი მე-77 თენგინ[illegible] პოლკისა პეტრე რეზნიკოვი სახალხო მატარებლის ვაგ[illegible], რომელშიაც ცხოვრობენ აფიცრები, რევოლვერის გასაწმენდად ტყვიებს იღებდა. ამ დროს გაუვარდა რევოლვერი, მოხვდა იქვე მდგარ ამავე პოლკის ქვეითა ჯარის-კაცს ტიმოთე ბონდარენკოს და მოჰკლა.

✦ გუშინ, 28 მაისს, მეხუთე საპოლიციო უბანში, ბორანთან ეტლით მიმავალ სამ მგზავრს ჩხუბი მოუვიდათ ერთმანეთში. ერთმა მგზავრმა იძრო ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი და დასცა მეორე მგზავრს გულში და მოჰკლა. მოკლული აღმოჩნდა გვარად ზაქარიანცი.

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზი“ № 136)

მიღებულ დეპეშებიდანა სჩანს, რომ ქ. ერევანში 24 მაისს თოფის სროლა ისევ განახლებულა. ჯარი რომ მივიდოდა, თოფის სროლა შესწყდებოდა, რომ წავიდოდა, ისევ ისროდნენ. დუქნები ყველა დაკეტილია, მეწვრილმანის ერთი დუქანი გაძარცვეს. გუბერნატორმა გაძარცული იპოვნა ერთ ქარვასლაში, სადაც მაჰმადიანები ცხოვრობენ, და ზოგი წაართვა, ზოგსაც დაეძებენ. წინა დღით დაჭრილი იყო 22 კაცი. 26 მაისს ქალაქში მშვიდობიანობა იყო, მაგრამ მდგომარეობა მაინც საშიშია.

შარურო-დარალაგეზის მაზრის მთიან ადგილებში ისევ შიშიანობაა.

სოფელ კამარლიუში (ერევნის მაზრა) 25 მაისს ვაჭრებმა თავიანთი საქონელი დუქნებიდან სახლებში გადაიტანეს. ღამე მრავალი მაჰმადიანი სოფლებისკენ გაემგზავრა, რის შემდეგაც სოფლებში თოფების სროლა ასტყდა.

ცნობები მოვიდა, რომ მაჰმადიანები ერევნის მაზრაში სოფელ კიალდას არბევენო. რადგანაც ერევნის მაზრის უფროსი და მისი თანაშემწე ხალხის დასამშვიდებლად სხვა ადგილებში იყვნენ წასულნი, ეჩმიაძინის მაზრის უფროსს დაევალა, წაეყვანა კაზაკები და კიალდაში წასულიყო.

ფოსტის გზაზე, მომეტებულად ნახიჩევნის გზაზე, ყოველ დღე ხალხს სძარცვავენ. ჯულფის რკინის გზაზე მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულია, რადგან მდინარე არეზჩაიზე ხიდი წყალმა გააფუჭა.

საზოგადოდ ერევნის გუბერნიაში მდგომარეობა მეტად საშიშია. იქ მყოფ ჯარების გასამლიერებლად ახალი ჯარები იგზავნება.

ქუთაისის ცხოვრება

28 მაისს საადგილ-მამულო ბანკში დანიშნულია ბანკის ერთის დირექტორის არჩევა, ვ. ნ. აბულაძის ნაცვლად, რომელმაც წელს რიგით თავი უნდა დაანებოს სამსახურს, ხსენებულ ადგილზე კანდიდატებად ასახელებენ ისევ ბ-ნს აბულაძეს და ს. მ. ამირაჯიბს.

✦ რეალურ სასწავლებლის დირექტორი აცხადებს: ის მოწაფეები, რომელნიც პირველ ივნისამდის თხოვნას არ შემოიტანენ შესახებ იმისა, რომ ნება მიეცეთ აგვისტოში დაიჭირონ შემდეგ კლასში გადასასვლელი ეგზამენი, ან მეორე წელს დატოვონ იმავე კლასში, სასწავლებლიდან გამოირიცხებიან და დოკუმენტები (საბუთები) პოლიციის საშუალებით გაეგზავნებათო.

✦ 29 მაისს საურთიერთო ბანკის დარბაზში მოხდება ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობის „კოლხიდა“-ს წევრთა კრება, რომელსაც შემდეგი კითხვები აქვს განსახილველი: ა) განხილვა და დამტკიცება ამხანაგობის მოქმედების 1904 წლის ანგარიშისა; ბ) მოხსენება სარევიზიო კომისიის 1904 წლის ანგარიშის გამო; გ) მოხსენება გამგეობისა ამხანაგობის ოპერაციების შესახებ; დ) განხილვა და დამტკიცება 1905 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა; ე) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები და ვ) ამხანაგობის წესდების ზოგიერთ მუხლის გამოცვლა და შევსება.

✦ მამულების ცეცხლისაგან დამზღვევ ქუთათურ საზოგადოების გამგეობის საქციელი ამ ბოლოს დროს რაღაც გამოურკვეველი ხდება. სხვებს, იქნება, კარგადაც ჰქონდეთ გამორკვეული ამ საქციელის მიზეზი, მაგრამ მე კი, სიმართლე მოგახსენოთ, ვერ ამიხსნია, რამ აიძულა გამგეობა, რომ საზოგადოების წევრთა კრება 30 მაისს, საღამოს 8 საათისათვის დაენიშნათ ქალაქის საბჭოს დარბაზში სწორედ იმ დროსთვის და იმ ადგილს, რა დროსაც და რა ადგილსაც დანიშნულია ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა. ეს, მგონი, მეხუთეჯერ ინიშნება კრება და, იმედია, კიდევ გადაიდება. კმარა საზოგადოების მასხარად აგდება და ამდენი თრევა!

✦ ი. მ. ჩიქოვანის ჭრილობა მეტად მძიმე გამოდგა და ექიმებს თითქმის იმედი აღარა აქვთ მისი მორჩენისა. რევოლვერის ტყვიას ფილტვი სულ დაუგლეჯია. დაჭრილის ჩვენებით, პოლიციას შეუპყრია ერთი კაცი, რომელიც მ. გ—იასთან მსახურობდა.

ისარა.

სადღეისო

„მიროვოი პოსრედნიკი“.

გინახავთ ადამიანი, რომელმაც თვითონ თავის ხელით გაითხარა სამარე, შიგ ჩაწვა, მიწა დაიყარა და თავის თავს თვითონვე აუგო წესი?

ცოცხალია... მაგრამ მოკვდა...

უფლება ჰქონდა, მაგრამ ეს უფლება მოიხმარა ბოროტად...

ბატონივით ჩადიოდა სოფელში, მონებად ისახავდა სოფლელებს, მათი ყოველი სიტყვა შეურაცხმყოფელი ეგონა, მათი ყოველი მიმოხვრა საეჭვოდ მიაჩნდა.

დაინახავდა, რომ მშიერ-მწყურვალე სოფლელს გამოუჩნდა პატრონი და, სადაც ჯერ არს, შეატყობინებდა, — ამა და ამ სოფელში „ბუნტობსო“ ხალხი...

შეიტყობდა, რომ სოფელმა ჩარჩ-ბაყალებს დააღწია თავი, საკუთარი სავაჭრო ამხანაგობა მოაწყო, და მაშინვე დასწერდა ქაღალდს, — ამ სოფელში აღელვებას ვატყობო.

გაიგებდა, რომ ამ ამხანაგობის საქმე კარგად წავიდა, რომ ხალხი გასწორდა წელში, ყველის გაკეთებას მოჰკიდა ხელი, ორიოდე გროში იშოვნა შრომით, — და მთავრობას მაშინვე მისდიოდა „დანოსი“, — სოფელს მოაცილეთ ამ საქმის მეთაური, „აბუნტებსო“ ხალხს.

უფლება ჰქონდა და ამ უფლებას ხმარობდა ბოროტად...

„დანოსი“ მის ხელობად შეიქმნა, „მავნე პირების“ გამონახვა ემარჯვებოდა...

და, აი, ამნაირმა კაცმა თვითონ თავის ხელით გაითხარა საფლავი...

იწყინა, რომ მასთან სამსახურისთვის მოსთხოვეს სასყიდელი, რომ ვიღაც სოფლის მასწავლებელმა გაბედა და ამ საქმეზე მივიდა მასთან...

დაავიწყდა, რომ მას უფლება ჰქონდა და, როგორც უფლება-შემოსილს, შეეძლო ფულის მოცემა და არ მოცემაც.

თუ დასჭირდებოდა, სოფლის საზოგადო ფულის შეჭმაც შეეძლო...

და როდესაც სოფელმაც თავისი ფული უკანვე მოსთხოვა, მასწავლებელიც არ ეშვებოდა, გაახსენდა თავისი უფლება, სოფლის წარმომადგენლები დაატუსაღა, მასწავლებელიც დააჯარიმა და გააგდო გარედ...

დატუსაღების უფლებაც ჰქონია... რა კანონის ძალით... ეს დაავიწყდა...

დაჯარიმებაც შესძლებია სხვა კანონის ძალით, მაგრამ რომლის, — ეს აღარ ახსოვს...

ფულის მითვისებაზედაც ჰქონია უფლება, მაგრამ აქაც რაღაც მისთვისვე უცნობ კანონის ძალით...

და ამდენ კანონის ძალით სხვადასხვა კანონიერ საქმის ჩამდენმა გადასწყვიტა, შეატყობინოს ქვეყანას თავისი საგმირო საქმე და, ფულის მაგიერად, თავხედ მასწავლებელს გადაუწყვიტა პასუხის-გებაში მიცემა...

სადაც ჯერ არს მიწერას ჩვეულმა ახლაც მისწერა ფიცხელად:

ამა და ამ მასწავლებელმა მოკვლა დამიპირაო...

ამა და ამ მასწავლებელმა „ააბუნტა“ ხალხიო...

ხანჯლით ხელში წამოიწია ჩემს მოსაკლავადო და ხალხსაც შესძახა: მოვკლათო ესენი, რა უფლება აქვთ, რომ მოსულან ჩვენს დასაჭერადო...

დაიჭირა, აუყარა ბორკილი, კაცის კვლის განზრახვა მოუგონა და სასამართლოში, სადაც ირჩეოდა ეს საქმე, თვითონ თავის ენით ამბობდა შემდეგს:

— არა-ერთხელ გამიგზავნია დანოსი...

— არა-ერთხელ მიმიწერია, სადაც ჯერ არს, სოფლის ვითარებაზე.

— არა-ერთხელ დავმდგარვარ ჯაშუშად...

და ამის თქმასთან ერთად ითხრიდა საფლავს...

როდესაც გამოვიდნენ მოწმები და დაამტკიცეს ბრალდების უსაფუძვლობა, დაამტკიცეს, რომ თვით ეს უფლების მქონე არღვევდა კანონს, ღალატობდა პატიოსნებას.

იგი ჩაწვა საფლავში...

შემდეგ თვით ბრალდებულმა მასწავლებელმა დაიწყო თავისი სიტყვა. საშინელის სიმკაცრით ჰკიცხავდა უფლების მქონეს, აქებდა ხალხს, მიწასთან ასწორებდა ხალხის მტრებს, ჩარჩებს, მედანოსეებს...

იგი, შეშინებული, უკვე საფლავში ჩასული იყრიდა მიწას და თან გაიძახოდა საშინელის ხმით...

— კმარა, კმარა, არ მინდაო მეტი!

მაგრამ არ აკმარეს, გააგონეს, რომ თვით იგი იქცეოდა უზნეოდ, რომ უზნეო იყო მისი გაბატონება, რომ უზნეობა იყო უდანაშაულო ადამიანის ციხეში ჩასმა, ტყუილი, მოგონილი ბრალდება, ამდენი სიცრუე...

ესმოდა ეს საშინელი სიტყვები: ბრალმდებლად გამოსული ბრალდებულად გამოდიოდა და საფლავში ჩამძვრალი, ზნეობრივად მკვდარი, ყველასთვის საზიზღარი, გაჰკიოდა საცოდავად:

— ნუ მარქმევთ ჯაშუშს, ნუ მიძახით ბოროტმოქმედს, ხომ ხედავთ მკვდარი ვარო უკვე...

და სასამართლოს დარბაზში გაისმა—მკვდარია!

და ხალხმაც ბანი მისცა და შესძახა გახარებულმა... მკვდარია!

მკვდარია, ვინაიდან გამომჟღავნდა, რომ ჯაშუშია.

მკვდარია, ვინაიდან მისი ზნეობრივი არარაობა გაიგო ხალხმა...

კვდარია და თვითონ იძახის ამას და თავის თავს წესს უგებს საჯაროდ...

და მის სიკვდილის ამბავი ეუწყა საზოგადოებას გაზეთის ფურცლებზე, იქ, სადაც სასამართლოში გარჩეული საქმე აწერილია.

მისი და მასწავლებლის საქმე, ახლად გარჩეული სასამართლოში, — მისი პანაშვიდია...

ს. ლ—ი.

მაჰმადიანთა და სომეხთა წარმომადგენელების კრება.

პარასკევს, 27 მაისს, ქალაქის საბჭოს დარბაზში, თავ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით, შესდგა კრება იმ კაცებისა, რომლებიც ამას წინად ხალხის დასამშვიდებლად იყვნენ არჩეულნი. ეს კრება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: იმავე ღამეს ერთ-ერთ სახლის პატრონს დუქნის მომქირავნესთან სასამართლოს ბოქაული მიუყვანია ავეჯეულობის ასაწერად, რადგან ეს უკანასკნელი სახლის პატრონს სრული ქირის მიცემას არ უპირებდა თურმე. დანარჩენ მედუქნეებს ბოქაული რომ დაუნახავთ, პროტესტის გამოსახატებლად საჩქაროდ დუქნების კეტვა დაუწყიათ. ზოგიერთ მაჰმადიანს ვერ გაუგია, საქმე რაში მდგომარეობდა, შეშინებულა და თავზარდაცემული, ყვირილით „სომხები დაგვეცნენო“, თათრის მოედნისკენ გაქანებულა.

ერთს დუქანში ვიყავი, — სთქვა ერთმა მაჰმადიანმა, რომელიც ხალხის დამამშვიდებელ კომისიის წევრად არის, — შემოიჭრა ერთი კაცი და დაიძახა, არიქა, შეიარაღდით, სომხები დახოცვას გვიპირებენო. ზოგმა რევოლვერს წამოავლო ხელი, ზოგმა ხანჯალს და ქუჩაში უნდოდათ გავარდნა, მაგრამ იარაღი წავართვით და ტკბილის სიტყვით დავამშვიდეთ. როგორც ლაპარაკიდან გამოირკვა, კომისიის წევრებს ამ დღეს თავიანთი მოვალეობა სვინდისიერად შეუსრულებიათ. რაკი გაუგიათ, რომ ხალხი ღელავსო, მაშინვე ჩარეულან შიგ, ზოგი დაუმშვიდებიათ, ზოგიც, რომელთაც ტკბილის სიტყვით ვერაფერი გაუწყვიათ, შეუპყრიათ და პოლიციისთვის გადაუციათ. ამ უკანასკნელმა გარემოებამ კრებაზე კამათი გამოიწვია. ბევრი იმ აზრისა არის, რომ არავითარ შემთხვევაში პოლიციას არ მიმართონ, ეს საქმეს უფრო გაამწვავებს, სჯობს ისევ დარიგებით ვიქონიოთო ხალხზე გავლენა.

კრებაზე, სხვათა შორის, აღიძრა საკითხი, რომ საჭიროა კომისიის წევრებს ჰქონდეთ რამე ნიშანი, რომლითაც ხალხს შეეძლება გაარჩიოს ისინი. კრებამ დაადგინა — იშუამდგომლოს გუბერნატორთან, რომ ნება დართოს წევრებს ამგვარი ნიშნების ტარებისა. შემდეგ ბ-ნმა შირვან-ზადემ წაიკითხა მის-მიერ შედგენილი მოწოდება სხვადასხვა კუთხის მაჰმადიანთა და სომხების მიმართ, რომელიც უნდა დაიბეჭდოს თათრულ და სომხურ ენებზე და წაკითხულ უნდა იქმნას ეკლესიებში და მეჩეთებში. მოწოდება გრძნობიერად არის შედგენილი და ზოგიერთი სიტყვების შეცვლით (მაგ. მოწოდებაში იყო შემდეგი სიტყვები: „ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ ერთა შორის ამ ბოლოს დროს“ და სხვა. ერთმა ორატორმა მოითხოვა, რომ დაიწეროს „მაჰმადიანთა და სომხებ შორის“, რადგან დანარჩენი ერები ამ განხეთქილებაში არ ერევიანო). კრებამ ერთხმად მიიღო და გარდასწყვიტა დაჰბეჭდოს იგი და ხალხში გაავრცელოს.

დასასრულ, კომისიაში არჩეულ იქმნა კიდევ რამდენიმე პირი და კრება დაიხურა.

ქართლის თავად-აზნაურთა მილიციის შესახებ

(წერილები რედაქციის მიმართ)

I

როგორც მოგეხსენებათ, გორის მაზრაში შესდგა თავად-აზნაურთა „დრუჟინა“, რომლის მიზანია, როგორც თითონ აცხადებს, თავის დაცვა. ამ დრუჟინის დასახასიათებლად ჩემს თავს ნებას მივცემ ვაუწყო საზოგადოებას ერთი ამბავი, რომელიც მე 17 მაისს შემემთხვა.

მე და ერთი ჩემი ამხანაგთაგანი მოვდიოდით ურმით ტფილისისკენ სოფელ ცერონისიდან, სადაც სტუმრად ვიყავით. სოფ. აბისს რომ გამოვცილდით, წამოგვეწია ერთი „მილიციონერი“, თ. მ. დ. ციციშვილი, და ზრდილობიანად გადმოგვცა: „ჩვენი კომიტეტი გთხოვთ, ცოტახანს მობრძანდეთ მოსალაპარაკებლადაო“ ჩვენ გავყევით. მობრუნდით თუ არა, გარს შემოგვერტყნენ თხუთმეტიოდე შეიარაღებული ცხენოსანი, ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელნი, და, როგორც სისხლის-მსმელ ავაზაკებს, განძრევის ნებასაც არ გვაძლევდნენ. ჩემს მეგობარს რამდენიმე წუთით ურმიდან ჩამოსვლის ნებაც არ მისცეს. ასეთის სიფრთხილით მიგვიყვანეს აბისში. ხანგრძლივის ჩინურ ცერემონიების შემდეგ, დრუჟინის კომანდირმა — ზურაბ აბდუშელიშვილმა — მიგვიწვია ბაღში, თითონ სკამზე დაბრძანდა, — ჩვენ გულკეთილად მოგვცა ნება ბალახზე დავმსხდარიყავით. მოიწვია დრუჟინის ათის და ასის თავები, კაცნი „ფრიად ბრძენნი და განსწავლულნი“, რომლებიც ზოგნი სკამზე დასხდნენ, ზოგნიც ჩვენსავით ბალახზე, და დაიწყო გამოკითხვა:

— სად იყავით?

— ცერონისში.

— რად?

— სტუმრად.

— ტყუილია! სთქვა ავტორიტეტულ კილოთი ბ. ზურაბ აბდუშელიშვილმა, კეკე-მამულობას თავი დაანებოთო, და გაჩვენა თავიანთი პროგრამა. შემდეგ გამოგვკითხა ჩვენი აზრი დრუჟინის შესახებ. ჩვენ გულახდილად ვუთხარით ჩვენი აზრი, რომ პრინციპიალურად წინააღმდეგი ვართ მილიციის. ამის შემდეგ იმანაც ჩამოიხსნა ნიღაბი და გულ-ახდილად დაგვიწყო ლაპარაკი.

— თქვენ სტუმრად კი არა ყოფილხართ, თქვენ აგიტატორებად იყავით სოფ. ავლევში; თქვენ მოაკვლევინეთ თ. ლევან ამირეჯიბი; თქვენ გაავრცელეთ ხმა, რომ სოფ. ფცაში მოჰკლეს მსუქანი ღორი, რომლის ხორცი გირვანქა 15 კ. იყიდება; თქვენის მოხმარებით არ მისცეს გლეხ-კაცებმა ნება მიცვალებულის ავლევში ამოსვენებისა და სრულიადაც არ მიჰკარებიან დასაფლავების დროს, — თოკებიც კი არ გვათხოვეს; თქვენ უსისინებთ გლეხებს თავად-აზნაურობას.

ჩვენ ყველა ბრალდებაზე უარი განვაცხადეთ და ვთხოვეთ, დაგვენებინათ წამოსულიყვნენ ჩვენთან ერთად სოფ. ავლევში ამ ბრალდების დასამტკიცებლად. მათ გვიპასუხეს, რომ მხოლოდ ხვალ დილით შეგვიძლიან თქვენთან წამოსვლა ავლევში, მანამდის კი აქ უნდა დარჩეთო. ამ დროს წამოდგა წინ ტირძნისელი მემამულე სტეფ. ნ. სულხანიშვილი, რომელიც ასის თავი თუ ათის თავი უნდა ყოფილიყო, და პირზე დორბლ მორეულმა, გაშმაგებულმა დაგვიწყო მუქარით ლაპარაკი და თან ჩვენ ცხვირის წინ არა ერთხელ გაიელვა მისმა მკლავგამოსებულმა მუშტმა: „ჩვენ რომ დარწმუნებული ვიყოთ თქვენს დანაშაულობაში, ეხლავე გაგაწყვეტდით და გაგამათრახებდით. მაგრამ, რაკი ჯერ კიდევ ეჭვი გვაქვს, ამისთვის გითხვებთ მხოლოდ ჩემს ‘ხიზნებსა’“, და სხვა ამისთანა მარგალიტები მრავლად მოგვაყარა.

ამ დროს გაისმა ბაღის გარედ მდგომ მილიციონერების ხმა: „უნდა მოვკლათ, მოვკლათ, მაგათი...“ აქ კი არა ერთი და ორი ისეთი უკმაწვრო სიტყვა ჩაურთეს, რომელსაც მხოლოდ მათგან უნდა მოელოდეს კაცი. სწორედ მოგახსენოთ, ამ დროს ზ. აბდუშელიშვილი რომ არ გამოსულიყო ბაღიდან და არ დაეწყნარებია აბობოქრებული ბრბო, ნამდვილად ანდერძს აგვიგებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. სულხანიშვილმა განაგრძო თავისი რიხიანი ლაპარაკი და მუშტები უფრო და უფრო ახლო მოჰქონდა ჩვენს ცხვირთან: „თქვენ სოციალ-დემოკრატები ხართ, თქვენ მიწის სოციალიზაციას ქადაგებთ“. ჩვენ ვუპასუხეთ: ჩვენ არაფერს ვქადაგებთ და მიწის სოციალიზაციას ხომ ს.-დ.-ები დღევანდელ პირობებში არა ქადაგებენ.“—„მაშ თქვენ ს.-დ.-ები კი არა, საპოფნიკება ყოფილხართ“.

ამ ლაპარაკის დროს გარეთ მდგომი მილიციონერები შემოსულიყვნენ ბაღში, ლაპარაკს ყურს უგდებდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „ჰა! გაგკრათ?“—„მოიცა, კაცო! ამაღამ აქ არ არიან“! შემდეგ მოილაპარაკეს უშიშარმა რაინდმა აბდუშელიშვილმა და ასის თავებმა და გამოგვიცხადეს თავისი რეზოლუცია: „თქვენ გაგანთავისუფლებთ, თუ პატიოსან სიტყვას მოგვცემთ, რომ მომავალ შაბათს ამოსვალთ იმ ფაქტების გამოსაძიებლად, რომლის ბრალიც თქვენ გედებათ“. ჩვენ დავთანხმდით, რომ როგორმე თავი დაგვეძვრინა ამ ბრბოსათვის, მაგრამ ჩვენი თავი ვალდებულად არ მიგვაჩნდა ეს საძალადევად ჩამორთმეული სიტყვა შეგვესრულებინა და ხელმეორედ ჩავვარდნოდით მათ ხელში.

ჩვენი მეურმე ადრევე გაგდოთ მილიციონერებს. კომანდირის ბრძანებით, მილიციონერებმა შეაბეს ურემი, მაგრამ შემდეგ დაიწყეს ყვირილი: ამაღამ აქ დარჩნენ, ნუ გავუშვებთო. ჩვენ ვთანხმდებოდით დარჩენაზე, მაგრამ ზ. აბდუშელიშვილმა გვითხრა: „გირჩევთ წახვიდეთ, მე ჩემების შესახებ ვერ გითავდებებითო“ (Я не ручаюсь за своихъ). მილიციონერები მაინც ჩვენს დარჩენას თხოულობდნენ. ჩვენ კიდევ გამოვაცხადეთ დარჩენის სურვილი, რადგანაც გზაში ცოტაოდენი შიში გვქონდა, არა აქეხათრა ჩვენთვის.—„მე თქვენ გიბრძანებთ—დასხედითო“, სთქვა რიხიანად ზ. აბდუშელიშვილმა და დაუჯდა ურემს თავზე (რაკი მეურმე არა გვყავდა, ის გვიპირებდა გამოცილებას). ამაზე აღელდა მთელი დრუჟინა და შექმნეს დრიალი: „თუ შენ მაგათ გააცილებ, ჩვენც დავიშლებითო“. ჩვენ ვურჩიეთ ზ. აბდუშელიშვილს—ჩვენის მიზეზით არ ეღალატნა „საზოგადო საქმისათვის“ (ეს დრუჟინა ხომ „განთიადის“ მომასწავებელია) და დაბრუნებოდა თავის დრუჟინას. ამანაც შეასრულა ჩვენი რჩევა და ჩვენ ფეხით გამოვსწიეთ სადგურ გომისაკენ.

ამ ამბავს კომენტარიები არ ესაჭიროება,—აშკარაა, რა ჯურის ხალხთან გვაქვს საქმე. საყურადღებოა, რომ ამ დრუჟინაში არიან სტუდენტებიც: ოდესის უნივერსიტეტისა ი. დ. ციციშვილი, მოსკოვისა—ა. დ. ციციშვილი და გიმნაზია დამთავრებული ვ. ი. ციციშვილი.

ნიკოლოზ ციციშვილი.

II

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით რამდენიმე კითხვით მივმართოთ ქართლელ თავად-აზნაურთა მილიციის უფროსს. მილიციონერთა სიტყვით, მილიციას აზრად აქვს თავად-აზნაურთა კერძო საკუთრება დაიცვას გლეხებისაგან და უფრო კი ოსებისაგან. რამდენად მართალია ამგვარი მოსაზრება, ამაზე ჯერჯერობით არას ვიტყვით. ამ აზრის განსახორციელებლად მილიციის «კომიტეტმა» ქუდზე კაცი მოიწვია და ისედაც გაღარიბებულ მემამულეთ მოზრდილი ხარჯი დააკისრა. მაგრამ ჩვენ ამას არ ვჩივით. მილიცია გვითვლის: თუ ჩვენ რაზმს არ შეუერთდებით, გაგდევნით, ბოიკოტს გაგიმართავთო და ზოგჯერ მოკვლასაც გვპირდებიან. ამის გამო ჩვენ თავად-აზნაურთა მილიციის უფროსისაგან გადაჭრილ პასუხს ვთხოულობთ შემდეგ კითხვებზე:

1) რატომ არ გვატყობინებთ თქვენი მილიციის ნამდვილ აზრსა და მიზანს?

2) თუ მართლა თავად-აზნაურთა საკუთრების დაცვა გინდათ, რა შუაში ვართ ჩვენ, რომელთაც არავისგან არავითარი საფრთხე არ მოგველის? რისთვის უნდა დავკარგოთ ასეთი ძვირფასი დრო სოფელ-სოფელ სიარულში? რისთვის უნდა გადავიკიდოთ გლეხკაცები? ან სადაური სამართალი და ლოღიკა მოითხოვს, რომ ჩვენ მილიციაში ჩავეწეროთ და იმ თავად-აზნაურთა მამული დავიცვათ, რომელნიც გლეხკაცებისათვის ღვთისრისხვა და ვარამი იყვნენ, ქვეყანას უვლეფავდნენ, შინდისა და კვერცხის ღალას იღებდნენ და ისედაც აკლებულ გლეხებს ანიავებდნენ.

3) რატომ ნიღაბს არ იხდით იმ თავად-აზნაურთა წინაშე მაინც, რომელთაც მილიციაში ჩაწერას უბრძანებთ?

და 4) ვინ დაგვიდგება თავდებად, რომ თქვენი მილიცია ხელს არ შეუწყობს გლეხთა მოძრაობის მტრებს?

დასასრულ, გიცხადებთ, რომ ჩვენ არას დროს არ შევუერდებით იმ მილიციას, რომელშიაც მრავალი „ტარიელ მკლავმაგრები“ არიან, ჩინოსნებიც, „პატრიოტებიც“ და ისეთებიც, რომელთათვის გლეხების გაღვიძება განკითხვის დღეა და ამიტომ ჩვენ დახმარებასა გვთხოვენ. ჩვენ დიდის სიამოვნებით შევუერთდებით ქართლის მილიციას მხოლოდ მაშინ, თუ იგი იმავე აზრს დაადგება, რომელსაც საუკეთესო რუსეთის ინტელიგენცია ადგია.

გიორგი ზაალის ძე მაჩაბელი, დიმიტრი იოსების ძე მაჩაბელი, რეზო მაჩაბელი, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ფავლენიშვილი, ლადო სპირიდონის ძე ქასრაძე, ვასილ მიხეილის ძე მაჩაბელი და ნიკოლოზ ვასილის ძე მაჩაბელი.

პრესსა

გაზეთ „რაზსვეტ“-ში დაბეჭდილია წერილი გლეხის ი. ზაპისნოისა, რომელიც ეხება ხალხის წარმომადგენლების მოწვევის საკითხსა და, სხვათა შორის, აღნიშნავს უსაფუძვლობას იმ იმედისას, რომელსაც ამყარებენ ამ წარმომადგენლებზე რუსეთის რეაქციონერები.

რუსეთის ესკადრის დამარცხებამ გამარჯვების უკანასკნელი იმედი დაუკარგა რუსებს. ყველანი,—მემარცხენენი და მემარჯვენენი,—ერთხმად ღაღადებენ ხალხის წარმომადგენლების მოწვევის აუცილებლობის შესახებ და იმათგან მოელიან ომის კეთილად დაბოლოვებას. რომ ხალხის წარმომადგენლების მოწვევა აუცილებლად საჭიროა,—ამაში ეხლა ეჭვი აღარავისა აქვს, მაგრამ რომ ხალხი ვერც შეასრულებს და არც შეასრულებს ამ საქმეს,—არც ამაშია ეჭვი. რანაირ ყოფაში ჩააგდო ბიუროკრატიამ რუსეთი? სიკოტრე ეკონომიური, სიკოტრე ზნეობრივი,—აი, ის რუსეთი, რომელსაც ბიუროკრატია ხალხს აშორებს. დღეს ბიუროკრატიას უნდა ხალხს გააკეთებინოს ის, რის გაკეთებაც თვითონ ვერ მოახერხა. მაგრამ მოამზადა კი ხალხი ამ საქმისთვის? მთელის საუკუნოებით სიბნელეში ატარა ბიუროკრატიამ ხალხი, მთელის საუკუნოებით უხშობდა თავისუფლებისადმი მისწრაფებას, უხშობდა ცოდნისა და განათლების წყურვილს, ეხლა კი იწვევს ამ გაღატაკებულ, მრავალტანჯულ ხალხს სამშობლოს დასახსნელად.

თუ მართლა,—დასძენს ავტორი,—ხალხმა უნდა იკისროს რუსეთის დახსნა, თქვენ, ბიუროკრატებმა, უნდა მოწიწებით მუხლი მოიყაროთო მის წინ.

რუსეთი

იმ კომისიაში, რომელმაც ბულიგინის პროექტი უნდა განიხილოს, მოწვეულ იქმნებიან საგუბერნიო ერობის გამგეობის თავმჯდომარენი და გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი. ამრიგად საერო წარმომადგენლობის წეს-რიგი ისევ მარტო **ბიუროკრატიამ უნდა შეადგინოს.** (რ. ს.).

✦ პეტერბურგის **გრადონაჩალნიკმა გააუქმა** ის წესი, რომლის ძალითაც პოლიციელებს წელიწადში ერთი თვე ეძლეოდათ დასასვენებლად. პოლიციელებს საგარაკოში შაბათობით თავის ცოლშვილთანაც არ შეეძლებათ წასვლა. ეს ახალი განკარგულება მარტო პეტერბურგის პოლიციას შეეხება (რ. ს.).

✦ შინაგან საქმეთა მინისტრმა **ბულიგინმა სამსახურიდან გადადგომა მოითხოვა**, მაგრამ ნებართვა არ მიიღო (რ. ს.).

✦ მოსკოვის ქალაქის საბჭოს 86 ხმოსანმა საბჭოში შემდეგი განცხადება შეიტანა: ჩვენის ფლოტის განადგურებამ გული მოგვიკლა. ვერც გონება, ვერც სამართალი და გრძნობა პასუხისმგებლობისა წინაშე ხალხისა ვერ დაეთანხმება იმ აზრს, ვითომ ეს უბედური და ხალხის სურვილის წინააღმდეგ დაწყებული ომი კიდევ უნდა გაგრძელდეს, უნდა გაგრძელდეს მაშინაც კი, როცა მისი გაგრძელება ხალხს არა სურს. მოსკოვი მედგრად და გაბედულად უნდა ამხედრდეს ამის წინააღმდეგ. **საერო წარმომადგენელთა მოწვევის გადადება და დაგვიანება შეუძლებელია;** მოვიდა ის დრო, როცა თვითონ ხალხმა უნდა გადასწყვიტოს ომის საქმე და სახელმწიფოს საქმეების მართვა-გამგეობასაც თვითონ შეუდგეს. (რ. ს.).

✦ მოსკოვის საბჭო მთავრობას სთხოვდა, ახალ სკოლების გახსნა გვინდა და ნება მოგვეცით 3 მილიონი მანათი ვისესხოთო. **მთავრობამ უარი შეუთვალა** (რ. ს.).

✦ „ბერლინერ ტაგებლატ“-ში ვრცელი წერილია დაბეჭდილი ვიტტეს შესახებ. გაზეთის აზრით, ვიტტე რუსეთის ბიუროკრატთა შორის ერთად ერთი კაცია, რომელსაც სავსებით ესმის რუსეთის თანამედროვე სახიფათო მდგომარეობა, და ცდილობს ბიუროკრატიის ფრთების შეკვეცას, მაგრამ ვერას გახდა: უკანასკნელ ხანებში **მთავრობა ცერად უყურებს ვიტტეს** და მის განდევნას ცდილობს. გაზეთის აზრით, ლიბერალ მინისტრის ერმოლოვის დათხოვნა და ვიტტეს დევნა რეაქციის დაწყებას ნიშნავს (რ. ვ.).

✦ ბულიგინის პროექტით, საერო წარმომადგენელთა მოწვევის დროს **არჩევანი უნდა იყოს წოდებრივი**, ორკეცი და დაწესდეს მაღალი ქონებრივი ცენზი (ნ. დ.).

კორესპონდენცია

ს. დვანი (ფრონის ხეობა). მაისის 20-ში, როდესაც ქართველ თავად-აზნაურთა მილიცია, რიცხვით ორასამდე, სოფ. დვანში ამოვიდა იქაურ თავად-აზნაურთაგან წევრების შესაძენად, ამ დროს გარეშე სოფლებში ხმა გავრცელდა—მილიცია დვანის გლეხობას დაეცა ასაწიოკებლადაო. თხუთმეტამდე სოფლის გლეხი შეიარაღდა თოფებითა და კეტებით და ამ სოფლისაკენ გამოეშურა, რომ თავიანთ მოძმე გლეხობა დაეცვათ „მტრებისაგან“. გლეხობა მეტად აღელვებული იყო, ყველა გაშმაგებულად მოიწევდა საომრად, მაგრამ ამ დროს კეთილი ადამიანნიც აღმოჩნდენ და ხალხი დააშოშმინეს, რადგანაც მილიციას გლეხების აწიოკება კი არა სდომებია, არამედ მათი „ნება-ყოფლობით“ თავიანთ რაზმში ჩაწერვა. დვანის გლეხობამ საერთო ხმით ამ მილიციას უკმაყოფილება გამოუცხადა: ჩვენ არა გვსურს თქვენი რაზმის წევრობაო, და ნელ-ნელა დაიშალა. მილიცია ამ დღეს ს. თამარაშენში წამოვიდა გ. მაჩაბელთან, სადაც სამს დღეს დარჩა, გარდა ზ—კო მაჩაბლისა. აქაც წევრობაზე სურვილი არავინ განაცხადა. გ. ზ. მაჩაბელს (ქართლელია) და სხვებს მილიციონერებმა მუქარა შეუთვალეს, თუ ხელს არ მოგვიწერთ, იცოდეთ ინანებთო. პასუხად გიორგი ზაალის-ძე მაჩაბელმა კატეგორიული უარი შეუთვალა: მე ვუერთდები გლეხობას და მათთან ერთად ჩვენს მტრებთან ბრძოლა მსურს, თქვენკი, როგორც გნებავთ, ისე მოიქეცითო. მილიცია აიბარგა, 23-ს მაისს, და ს. ერედვში წავიდა ფავლენიშვილებთან.

ს. დვანში, როდესაც მ. ფავლენიშვილს დაეჭირა გლეხი და ცემა დაეწყო: ჩემ ტყეში ფიჩხი რად მოსჭერიო, გლეხს მეზობლები მიშველებოდნენ, თავადისათვის ბერდანის თოფი წაერთმიათ და კიდეც ეცემნათ. ეს თავადი წევრია მილიციისა.

ამ რაზმის შესახებ დაწვრილებით შემდეგ ვაუწყებ მკითხველებს. მათი პროგრამა უკვე ხელში მაქვს.

ქარ-ცეცხლი.

ქ. თელავი. ლამის არის, ქვეყანა გადაბრუნდეს, ცხოვრება განახლდა და ჩამორჩენილ თელავს-კი არაფერი ეშველ[illegible]უნდა, მაგ., ავიღოთ აქაური ფოსტა. ტფილისიდან კვირაში ორჯერ მოდის ნამდვილი ფოსტა, ე. ი. ფულიანი და დაზღვეულ კორესპონდენციით. მართალია, დილიჟანზედაც ყოველ დღე იღებენ უბრალო ფოსტას, მაგრამ ეს, ჯერ ერთი, დროებითაა, ვინაიდან დილიჟანების პატრონს ყოველთვის შეუძლიან უარის გამოცხადება, მეორე, ამ ვითომდა ყოველ-დღიურ ფოსტას მხოლოდ წინა დღის გაზეთები მოაქვს და თელაველებს მხოლოდ ძველის ამბების კითხვა გვიხდება. განა არ შეიძლება ისე მოეწყოს საქმე, რომ დილის გაზეთს საღამოთი ვიღებდეთ ფოსტისავე საშუალებით, მაგრამ ვინ არის მოთავე, ვინ აიტკიებს თავს?

ამ ორი-სამის დღის წინად თელავის ხაზინაში მოხდა ყოფა. ერთ სოფლის გლეხებს დიდის თხოვნისა და მუდარის შემდეგ, ნება მოსვლოდათ გამოეტანათ ეგრედ წოდებული მაღაზიის ფული, რომელიც ხაზინაში ინახებოდათ. ეს ფული გამოუთხოვნიათ გოგირდ-შაბიამანის სასყიდლად, მაგრამ როგორ განცვიფრებულნი დარჩნენ, როცა გამოუცხადეს, რომ 100 მანათში მხოლოდ 83 მანათს მიიღებთო. თურმე შეტანილი ფული სარგებლიან ქაღალდებად უქცევიათ და მისი ფასი ასე დაწეულა. სოფლელთ კი ვერც თავი გაუგეს, ვერც ბოლო: რა ვქნათ, ფული შემოგვიტანია, იმ ფულს უნდა მოემატნა თუ დაეკლოთ, კითხულობდნენ გაკვირვებულნი.

21 მაისს, საღამოთი, თელავის მოქალაქე ი. ბერძნიშვილი ცხენით ბაზარზე მოდიოდა. ცხენს პატარა ბავშვი შეეხეთა და, თუმცა წაიქცა, მაგრამ არაფერი დაშავებია. იქვე, დუქანში მომუშავე ყმაწვილის მამამ, ეს რომ დაინახა, გარედ გამოვარდა. ბერძნიშვილმაც ცხენი მოატრიალა, უნდოდა გაეგო, ყმაწვილს ხომ არაფერი დაუშავდაო. ყმაწვილის მამამ ჩამოაგდო ცხენიდან ბერძნიშვილი და მისივე ხანჯლით ისე მძიმედ დასჭრა მუცელში, რომ საბრალო ბერძნიშვილი იმავე საღამოთი გარდაიცვალა. ასეთმა მკვლელობამ ყველანი ააშფოთა, მით უმეტეს, რომ ბერძნიშვილი ცნობილი იყო, როგორც კეთილი და უწყინარი ადამიანი

მეორე დღეს ხალხი ბაზარში შეიყარა და თათბირი ჰქონდათ, როგორ დავსაჯოთ მკვლელიო, თუმცა იგი იმავე საღამოს პოლიციამ დააპატიმრა. ზოგმა სთქვა: წავიდეთ, გამოვიყვანოთ და რიყეზე ჩავქვავოთო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი სომეხი ყოფილიყო. მოკლული კი ქართველი. ამასთან გაიხსენეს ბაქო-ნახიჩევანში მომხდარი ამბები და სთქვეს: ვინ იცის, ბნელმა ძალებმა როგორ ახსნან ეს გარემოება და როგორ გამოიყენონო. ბოლოს ეთქვათ, იქნება თავდებით გამოუშვან და მაშინა ვნახოთო.

ინკოგნიტო.

ყალამშია (ბორჩალოს მაზრა). 27 მაისი. ს. ყალამშიაშა წერა-კითხვის მცოდნე აქამდე მხოლოდ ოთხი კაცი მოიპოვებოდა. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ და 1904 წელს, ნოემბერში, დააარსა პირველდაწყებითი სკოლა. სწავლის მსურველნი ბევრნი აღმოჩნდნენ, მაგრამ, რადგანაც სკოლის შენობაში ორმოცდა ათზე მეტი მოსწავლე ვერ მოთავსდებოდა, ბევრი მსურველთაგანი უკან გააბრუნეს. ამ გარემოებამ დააფიქრა ყალამშიელები და მიჯულები და, შემდეგში რომ მოსწავლეები უკან არ გაებრუნებინათ, გადასწყვიტეს სკოლად გადააკეთონ ორ-სართულიანი სასოფლო სახლი, რომელშიაც დღეს მოთავსებულია პატარა დუქანი. ამ შენობის სკოლად გადაკეთება სოფლელებმა გადასწყვიტეს შემდეგის პირობებით: მონაწილენი, რომელთაც ეს შენობა ეკუთვნით, უთმობენ სკოლას შენობას. სამაგიეროდ, დანარჩენმა პირებმა, რომლებიც სკოლაში მონაწილენი არ არიან, უნდა გასწიონ სკოლის გადაკეთების დროს შრომა მასალის მოტანით. სკოლის გადასაკეთებლად ფულს გამოიღებს „წერა-კითხვის საზოგადოება“. დიდი სასიხარულოა, რომ ყალამშიელებმა ასე მოკლე ხანში შეიგნეს სწავლა-განათლების ძალა და თავის შენობას უთმობენ სკოლას. იმედია, რომ ყალამშიელები უფრო წინ წავლენ სწავლა-განათლების მხრით. სასურველია, რომ ყალამშიელებს და მიჯულებს მიჰბაძონ მეზობელმა სოფლებმა, მაგალითად: ქვეშმა, აკაურთამ. დრო არის, ამათაც გამოიღვიძონ და სწავლა-განათლებას დაეწაფონ.

სიმონ ჯორბენაძე.

ღამის დეპეშები

რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან

29 მაისი.

პეტერბურგი, 27 მაისი. უქვეშევრდომილესი დეპეშა კონტრ-ადმირალ ენკვისტისა მანილიდან ხელმწიფისადმი, 23 მაისის თარიღით: „უქვეშევრდომილესად მოგახსენებთ, რომ 14 მაისს ბრძოლა მოხდა ცუსიმასა და კოკეცუსიმას კუნძულებს შორის. ცა მოწმენდილი იყო, ჰქროდა ჩრდილოეთის ქარი, ხოლო ჰორიზონტი დაბურული იყო. დღის პირველ საათსა და 45 წუთზე სამხრეთიდან გამოჩნდა იაპონიის ესკადრა და მაშინვე ბრძოლაც ასტყდა. იაპონელები იმასა ცდილობდნენ, რომ ვლადივოსტოკისაკენ არ გავეშვეთ. ამიტომ ყოველთვის, როცა კი ჩვენი ესკადრა ჩრდილოეთისკენ გაუხვევდა ხოლმე, იაპონელები ჩვენს ესკადრას მაშინვე წინ ელობებოდნენ და გემებს ზარბაზანს უშენდნენ. ჩვე-გემები ისე დააზიანეს, რომ იძულებული იყო ბრძოლაზე ხელი აეღო. იაპონელთა 9 ბაქანჯავშნიანი გემი და ჯავშნოსანი „ჩინიენი“ მთავარ ესკადრას ჩამოშორებული იყვნენ, ცალკე იბრძოდნენ და სულ იმას ცდილობდნენ, რომ ჩვენთვის ორის მხრივ დაეშინათ ზარბაზანი. მათ წინააღმდეგ ჩვენი კრეისერები იბრძოდნენ. სატრანსპორტო გემები ჩვენის კრეისერების მოძრაობას ხელს უშლიდნენ. 50 წუთის შემდეგ, ბრძოლის დაწყებიდან, „ოსლიაბია“ გადაბრუნდა და დაიღუპა. „ბოროდინომ“ ბრძოლაზე ხელი აიღო. „სუვოროვსაც“ საბოლეები და ანძები მიამსხვრა, ცეცხლი მოეკიდა და იძულებული გახდა ბრძოლის ფარგლიდან გასულიყო. ჩვენი ესკადრა „სუვოროვს“ შემოერტყა, რათა დაეცვა იგი. მალე „ბოროდინო“ ისევ მოკეთდა და ბრძოლაში ჩაერია. ამ დროს ესკადრას „ალექსანდრე III“-მე მიუძღოდა. ცოტა ხნის შემდეგ „ურალი“ დაიღუპა. იაპონელთა ამნაირმა ტაქტიკამ იძულებულ გვყო ესკადრა სულ ერთ წრეზე გვეტარებია. შუაში ტრანსპორტები და ნაღმოსნები იდგნენ. ჩვენს გარეშემო იაპონელები ტრიალებდნენ. ასეთი მდგომარეობა მეტად უხერხული იყო ჩვენთვის. რადგან ჩვენი გემები მეტად მძიმედ მოძრაობდნენ, ამ წრეს თავი ვეღარ დავაღწიეთ. მზის ჩასვლისას ჩვენი ესკადრა მაინც ჩრდილოეთისკენ გაემართა. ამ დროს ერთ ნაღმოსნიდან ჯავშნოსან „კნიაზ სუვოროვი“-ს გვერდით გვანიშნეს: „ადმირალმა ესკადრის უფროსობა ნებოგატოვს გადასცაო“. ჯავშნოსანი „იმპერატორ ალექსანდრ III“ საშინელის სისწრაფით გამოესალმა ესკადრას. უმთავრეს გემად „ბოროდინო“ დარჩა, რომელსაც ჯოჯოხეთური სროლა აუტეხეს. მზის ჩასვლისას „ბოროდინომ“ უკანასკნელად დასცალა ზარბაზნები და ჩაიძირა. ღამის წყვდიადში ესკადრის ირგვლივ იაპონელების ურიცხვი ნაღმოსანი ირეოდა და ჩვენმა ესკადრამ სამხრეთისკენ დაიწია. ამ დროს აღარა სჩანდა ჯავშნოსნები „კნიაზ სუვოროვ“, „ბოროდინო“ და „ოსლიაბია“, ტრანსპორტები „კამჩატკა“, „ურალი“ და ბუქსირი-გემი „რუსი“. ბრძოლის დროს თითქმის ყველა ჩვენს გემს ცეცხლი გაუჩნდა, მაგრამ სროლა ერთის წუთითაც არ შეუწყვეტიათ. უკანასკნელს სროლასთან ერთად ჩვენი ნაღმოსნები იღუპებოდნენ. ბრძოლის დასაწყისშივე კრეისერ „ოლეგიდან“ დავინახეთ უაითხედის ნაღმი, რომელიც ავიცდინეთ. იმ დროს იაპონიის ნაღმოსნები იქ არ იყვნენ, დიდი გემები კი შორს იდგნენ, რისთვისაც ჩვენ ნაღმებს ვერ ვესროდით. ღამის სიბნელემ ბრძოლა ვერ შესწყვიტა. ჩვენს გემებზე ნაღმებით მოჰქონდათ იერიში და ზარბაზნებს გვესროდნენ. რა მოხდა ამის შემდეგ, არ ვიცით, რადგან სიბნელეში ჩვენსა და მტრის გემებს ერთმანეთში ვერ ვარჩევდით. შესაძლოდ ვსცანი „ოლეგ“-ითა, „ავრორა“-თი და „ჟემჩუგ“-ით ჩრდილოეთისკენ წავსულიყავ; რამდენჯერმე ვეცადე გამერღვია გზა, მაგრამ ვერაფერი გავაწყე, რადგან მტერს განუწყვეტლივ მოჰქონდა იერიში. ერთ ხანს 4 ნაღმიანი გემი ნახევარ კაბელტოვით იყო დაშორებული კრეისერ „ოლეგსა“ და „ავრორაზე“. ამ ნაღმოსნებმა უაითხედის 17 ნაღმიც ისროლეს, მაგრამ გემებს არც ერთი არ მოხვდა. სამხრეთისაკენ დავიწიე; სიბნელეში ვერ გავარჩიე ჩვენი გემები; იმედი მქონდა, რომ გათენებისას დავინახავდი ესკადრას, მაგრამ 15 მაისს, დილას, რაკი ესკადრა ვერ დავინახე, გავჩერდი გემების შესამოწმებლად. არ ვიცოდი, საითკენ წავიდა ესკადრა, ამიტომ ვერ გავბედე დაზიანებული გემები ჩრდილოეთისკენ წამეყვანა, რადგანაც გზაში ადვილად შემხვდებოდა იაპონიის მთელი ფლოტი; ნახშირი საკმარისად არა მქონდა, გემებიც იმდენად დაზიანებული იყო, რომ ლაპერუზის სრუტეში გასვლა არ შემეძლო. ამიტომ გადავწყვიტე მანილასკენ წავსულიყავ“.

ადმირალ ენკვისტის დეპეშა მანილიდან, 27 მაისის თარიღით: „თქვენის უდიდებულესობის მოწყალე სიტყვებმა მხიარულება გამოიწვია ესკადრის ყველა მეზღვაურთა შორის და გაგვიადვილა იმ უბედურების ატანა, რომელიც გვეწვია ყველას“.

სიბიაზა. მცირე შეტაკება კიდევ მოსდით მოპირდაპირეთ. რეკოგნოსციროვკებით აღმოჩნდა რომ იაპონელებს რამდენიმე ადგილი გაუმაგრებიათ. ამბობენ, გირინის პროვინციაში იაპონელებისა და ხუნხუზების ბრბოები დათარეშობენო.

ტოკიო, 27 მაისი. ადმირალი (?) ჯერ ვერ მოვა ტოკიოში და ამჟამად მისთვის მიჩენილ ადგილზე იმყოფება, ხოლო სახელდობრ სად—არ იციან. ამბობენ, იაპონელთა რამდენიმე კონტრ-ნაღმოსნებმა, რომელნიც კრეისერ „იზუმრუდს“ გამოუდგნენ დასაჭერად, ბრძანება მიიღეს, უკანვე დაბრუნდითო.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.
(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევს 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ. 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს.წ. ·ე 11) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

ზორაპნამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20წ. (2 ს. 18 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვი . ქიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“
ტფილისში:
1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

იყიდება ორთქლით მმოძრავი მანქანა, რომელიც გამოდგება ხე-ტყის სახერხ მანქანისთვის და სხვაგვარ საჭიროებისთვისაც. მანქანის დათვალიერება შეიძლება ყოველ-დღე, ველიკოკნიაჟესკის ქუჩაზე, მე-2 სავაჟო გიმნაზიის პირდაპირ, ქუთათელაძის შენობის საწყობში.—ფასის გაგებაც იქ შეიძლება. (3—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა წლის 4 ივნისისთვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქალაქის ერთის ნაჭერის მიწის იჯარით გაცემაზე, რომელიც იმყოფება პოლიციის მე-10 ნაწილში, ტფილისის დამოკენის პირდაპირ, და ზომით არის 726,3 კვ. საჟ. ეს მიწის ნაჭერი გაიცემა შენისა, საშენებელ მასალებისა და საქონლის საკვების საწყობებისთვის. (3—1)

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“
პირველ ივნისიდან გადადის მიხეილის ქუჩაზე, № 97.

საჭირო და ყოველთვის სახმარებელი
უცხო სიტყვათა ლექსიკონი,
შედგ. ი. იმედაშვილის-მიერ. ფ. უყდოთ 1 მ. ყდით 1—50.
Тифл., книжн. торг. Іос. Зах. Имедашвили.

!! Остерегайтесь поддѣлокъ !!
ГИГІЕНИЧЕСКОЕ
Борно-Тимоловое Мыло
ПРОВИЗОРА
Г. Ф. Юргенсъ.
Уничтожаетъ веснушки, загаръ, желтыя пятна, прыщи, угри и дѣйствуетъ противъ излишней потливости и дезодорирующее. Рекомендуется, какъ благовонное туалетное мыло высшаго достоинства· Золотая медаль, Лондонъ 1893 г. Цѣна за кусокъ 50 коп., ½ кус. 30 коп. Продается во всѣхъ лучшихъ аптекахъ, аптекарскихъ и парфюмерныхъ магазинахъ. Главный складъ для всей Россіи Г. Ф. Юргенсъ, въ Москвѣ. (19—მტც.—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 27 мая 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.